„თვითმმართველობა უკვლოესი რამაა საკუთარის ყოველდღეობის საფარეზისა. საცა ორნდა დათვალი, ეგი ყველაფერ ჩვენთან... ყოველი საჭვიმეჩენელი, რიგიანს ერსაზედ ცოდვა თუ ბეჭრად დაამეტეკანი, ნაჩენი-ნაჩენიანად ანის დაყოფილი, ერთმ მიეკვლა და ანგრეთხანა აკეთილი იყოს.”

ხობის მოამბე

№6-7 (7132) 26 ივნისი,
შაბათი, 2021 წელი.
ფასი 1.40 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

მთავრობის ახალი ინიციატივა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით მოქალაქეებს და იურიდიულ პირებს იზოლაციის, კარანტინის და პირბადის ტარების წესის დარღვევის გამო დაკისრებული დაახლოებით 76 მილიონი ლარის გადაუხდელი ჯარიმები ჩამოეწერებათ.

ამნისტია შეეხება და ადმინისტრაციული სახდელისგან
გათავისუფლდება 245 ათასზე მეტი ჩვენი თანამოქალაქე
და 344 იურიდიული პირი.

მოქალაქეებს და იურიდიულ პირებს იზოლაციის, კარანტინის და პირბადის ტარების წესის დარღვევის გამო დაკისრებული დაახლოებით
76 მილიონი ლარის
გადაუხდელი ჯარიმები ჩამოეწერებათ.

ტენდერი გამოცხადდა

ხობის ცენტრალური პარკის რეაბილიტაციაზე ტენდერი გამოცხადდა. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 4 მილიონ 595 ათასი ლარია. პროექტი სახელმწიფო პროგრამის– „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში ხორციელდება.

პროექტს ხობის მუნიციპალიტეტის მერია ანხორციელებს.

გილოცავთ

ხობელი მოკრივე იტალიაში მიმდინარე ევროპის 22 წლამდელთა ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა!

ანა ხუნჯუა პირველი ქართველი მოკრივე ქალია, რომელმაც საქართველოს 22 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატიდან ბრინჯაოს მედალი მოუტანა.

კიდევ ერთხელ ვულოცავ ანას, მის მწვრთნელს და გულშემატკივრებს და ვუსურვებ წარმატებებს!

ირაკლი (დაჩი) ბერაია,
საქართველოს პარლამენტის დეპუტატი.

13 ივნისის ტრაგედიიდან ექვსი წელი გავიდა...

მდინარე ვერეს ხეობაში მომხდარმა სტიქიამ 21 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მათ შორის ორი ხობელი ახალგაზრდა - ინდირა და ლიზი ზარანდიები.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რწმუნებულის მოადგილემ ლუდუკი ხასიამ, ხობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ, მერის მოადგილეებმა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა პატივი მიაგეს ინდირა და ლიზი ზარანდიების ხსოვნას და მათი საფლავები ყვავილებით შეამკეს.

ვიდეო დოკუმენტალური 80

9

წარმატებული ხობელები

7-8

„ნუ წაართმევ ბავშვობას“

ხობის მუნიციპალიტეტის მერია შუერთდა შინაგან საქმეთა სამინისტროს აქციას „ნუ წაართმევ ბავშვობას“, რომლის მიზანია ბავშვობის ასაკში ქორწინების ხელშემწყობი დანაშაულების აღმოფხვრა და შესაბამისი სამსახურებისთვის დროულად შეტყობინების საკითხზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

ჩავატარეთ ქუჩის გამოკითხვა, რათა გაგვეგო მოსახლეობის აზრი ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებით, ვკითხეთ იცნობდნენ თუ არა კანონს და ეთანხმებოდნენ თუ არა 18 წელს მიუღწეველი პირისთვის ქორწინების აკრძალვას. საზოგადოების აბსოლიტური უმრავლესობა სწორად მიიჩნევს კანონს და ფიქრობს, რომ ბავშვობის ასაკში ქორწინება აფერხებს პიროვნების განვითარებას.

ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების მძიმე შედეგების აღმოსაფხვრელად, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, 18 წლამდე ქორწინება აკრძალულია გამონაკლისის დაშვების გარეშე.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით ასევე ისჯება სრულწლოვანი ადამიანის მიერ 16 წლამდე ბავშვთან სქესობრივი კავშირის დამყარება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის მიხედვით, სრულწლოვანი ადამიანის მიერ 16 წლამდე ბავშვთან სქესობრივი კავშირის დამყარება ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება, ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ან აღკვეთით ერთიდან სამ წლამდე.

ხშირია შემთხვევა, როცა ადრეულ ქორწინებას ხელს უწყობენ მშობლები, ზემოქმედებას ახდენენ შვილებზე, ან მონაწილეობენ ოჯახში ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ძალადობაში. ქორწინების იძულება (მათ შორის, არარეგისტრირებული) ისჯება საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით, ხოლო იგივე ქმედება, გააზრებულად ჩადენილი არასრულწლოვანის მიმართ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან-ოთხ წლამდე.

ძალადობის ერთ-ერთი ფორმაა გოგონას მოტაცება მასზე დაქორწინების მიზნით. გოგონას მოტაცება ცოლად მოყვანის მიზნით ითვლება პირის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მიხედვით, თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა დამნაშავისთვის. წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით შვიდიდან ათ წლამდე.

საერთო ჯამში, სხვადასხვა პირის მიმართ ჩადენილი ამ დანაშაულისათვის პირს შეიძლება 2-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთა შეეფარდოს.

14 ივნისს, აქციის ფარგლებში მოვიწვიეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორები, იზა კასრელიშვილი და დავით ხურციძე.

ხობის ცენტრალურ პარკში შევხვდით ქალაქში მდებარე, სამი საჯარო სკოლის მაღალკლასელებს. შეხვედრა მიმდინარეობდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. ბავშვებს მივაწოდეთ ინფორმაცია, რომ ადრეულ ასაკში ქორწინება შეიძლება იყოს იძულებითი (მაგალითად, გარიგებით) ან არასრულწლოვნის (ბავშვის) გაუაზრებელი თანხმობით. ნებისმიერ შემთხვევაში, ადრეულ ასაკში ქორწინება მიიჩნევა ადამიანის უფლებებისა და კერძოდ, ბავშვთა უფლებების დარღვევად, რადგან ითვლება, რომ ბავშვს, ასაკიდან გამომდინარე, არ შესწევს უნარი, მისცეს გააზრებული თანხმობა. ადრეულ ბავშვობის ასაკში ქორწინების შემთხვევაში არასრულწლოვანი უმეტესწილად გოგონაა.

15 ივნისს მოვიწვიეთ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი დასავლეთ საქართველოში თამთა ალანია და შევხვდით ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის საჯარო სკოლის მაღალკლასელებს, ვიმსეჯელეთ ადრეულ ასაკში ქორწინების გამომწვევ მიზეზებზე. ბავშვები მიიჩნევდნენ, რომ გოგონების უმეტესობა ამ გადაწყვეტილებას იღებს ოჯახში ძალადობისგან, ან სოციალური პრობლემებისგან თავის დაღწევის მიზნით. იმ ოჯახებისთვის, რომლებიც მატერიალური სიდუხჭირის ზღვარზე არიან, გოგონას ადრეული ქორწინება მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან ერთგვარი გამოსავალიც არის, ასეთ შემთხვევაში ისინი გოგონას ქორწინებას განიხილავენ, როგორც მისი „პატრონისთვის ჩაბარებას“ და მათი ოჯახიდან „ტვირთის მოხსნას.“

საპასუხოდ მათ ავუხსენით, რომ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება განსხვავებულ გავლენას ახდენს ბიჭებსა და გოგონებზე. თუმცა, გოგონებისთვის გაცილებით უფრო მძიმე შედეგები მოაქვს და უარყოფით გავლენას ახდენს მათ ჯანმრთელობასა თუ შემდგომ განვითარებაზე. ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შედეგად გამოწვეულ პრობლემებს შორისაა:

ჩაგვრა და ოჯახში ძალადობა: ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებაში მყოფი მოზარდი გოგონები, როგორც წესი, ქმრის მშობლებთან ერთად ცხოვრობენ და ხშირად მათზეა დაკისრებული მათი ასაკისთვის შეუფერებლად მძიმე ტვირთი. ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებაში მყოფი გოგონები ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ზეწოლის გაზრდილი საფრთხის ქვეშ იმყოფებიან.

ოჯახში ძალადობის ძირითადი ტიპებია: ფიზიკური ძალადობა (ცემა, ჯანმრთელობის დაზიანება, ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს და ტანჯვას), ფსიქოლოგიური ძალადობა (შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება), ეკონომიკური ძალადობა,–იძულება, სექსუალური ძალადობა.

ორსულობა მოზარდობის ასაკში: მოზარდობის ასაკში ორსულობა საფრთხეს უქმნის გოგონების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს, რადგან მათი ორგანიზმი ჯერ არ არის მზად ორსულობისა და ბავშვის გაჩენისთვის მაღალია ორსულობისა და მშობიარობის გართულებების რისკი. მოზარდ გოგონებში, ორგანიზმის უმწიფრობის გამო, ხშირია ნაადრევი მშობიარობა, სამშობიარო ტრავმა და ინფიცირება, რაც შემდგომში მათი ავადობის და უნარშეზღუდულობის მიზეზი შეიძლება გახდეს.

ბარიერები განათლების მიღებისთვის: საქართველოში 18 წლის ასაკამდე დაქორწინებულ ქალთა უმეტესობა ვერ ახერხებს საშუალო ან უმაღლესი განათლების მიღებას. არასრულფასოვანი განათლება აფერხებს გოგონების განვითარებას, არ უტოვებს მათ ფართო არჩევანს და ართმევს ცხოვრებისთვის საჭირო სახსრების მოპოვების შესაძლებლობას.

თითოეულმა მოქალაქემ კარგად უნდა იცოდეს და გაიაზროს, რომ 18 წელს მიუღწეველი პირის ქორწინება არის დასჯადი!

არავინ არ უნდა დამალოს ფაქტი, რომელიც კანონს ეწინააღმდეგება და არ ჩათვალოს, რომ ფაქტის დამალვით დადებით როლს შეასრულებს ბავშვობაწართმეული ადამიანის ცხოვრებაში.

თამუნა სიჯინავა,
ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირი.

ინფორმაცია კოვიდ-19-ის შესახებ

ხობის მუნიციპალიტეტში კოვიდ-19-ს გავრცელების მხრივ უკანასკნელი თვეების სტატისტიკა ასეთია; მატება დაიწყო 2021 წლის მარტის შუა რიცხვებიდან. მარტის თვეში კოვიდ-19 დაუდასტურდა 59 პირს, აპრილის თვეში გვქონდა 199 დადასტურებული შემთხვევა, მაისის თვის განვლილ პერიოდში უკვე გვაქვს 225 დადასტურებული შემთხვევა. ე. ი. არის მატების ტენდენცია, რომელიც გამოწვეულია წინა დღესასწაულებზე რეკომენდაციების დაუცველობით. მომატებულია ოჯახური კლასტერები. გაზრდილია ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები. ბოლო ინფორმაციით ივნისში გვქონდა 66 დადასტურებული შემთხვევა. ამჟამად არის მნიშვნელოვანი კლების ტენდენცია.

2020 წელს ადგილი ჰქონდა გარდაცვალების 8 შემთხვევას, 2021 წელს გარდაიცვალა 9 პირი.

მიუხედავად ზემოთაღნიშნულისა, თუ მკაცრად და უკეთესად დავიცავთ რეკომენდაციებს, ივლისის დასაწყისიდან, უნდა ველოდოთ ინფიცირებულთა რიცხვის შემცირებას. ამისთვის მოსახლეობამ მკაცრად უნდა დაიცვას დაწესებული რეგულაციები, განსაკუთრებით პირბადის ტარება დახურულ სივრცესა და მასიური თავშეყრის ადგილებში, სოციალური დისტანციის დაცვა, ხელების ხშირი დამუშავება ხელის დასამუშავებელი სპირტის შემცველი ხსნარებით, არ გავმართოთ და არ მივიღოთ მონაწილეობა ხალხმრავალ წვეულებებში, ქელეხში, მოვერიდოთ მასობრივი თავშეყრის ადგილებს.

რეგულაციების დაცვასთან ერთად კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ვაქცინაციას, ბოლო პერიოდში ძალიან გაიზარდა მოსახლეობის ნდობა შემოტანილი ვაქცინების მიმართ. დაავადებათა კონტროლის მიერ ხობის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი სინოფარმის ვაქცინის 378 დოზა მივიღეთ 4 მაისს, ხოლო 21 მაისს მივიღეთ სინოვაკის 80 დოზა. ივნისში კი დამტებითი დოზები. ვაქცინაციის მსურველთა დარეგისტრირება ხდება ელექტრონულად შემდეგ საიტზე Booking.mov.ge უახლოეს პერიოდში ქვეყანაში შემოვიდა კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის დამატებითი დოზები.

მალე დაიწყება მოსახლეობის საყოველთაო ვაქცინაცია, რაზეც ინფორმაციას მივიღებთ ტელევიზიით და სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით.

ხობის მუნიციპალიტეტში კოვიდის საწინააღმდეგო აცრები დაიწყო 5 მაისიდან ევექსის ხობის კლინიკაში. (მისამართი; ქ. ხობი, გ. ჭყონდიდელის ქუჩა №2). აცრები ტარდება ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა, დილის 10 საათიდან საღამოს 18 საათამდე.

ვაქცინაციის მსურველები თვითონ ირჩევენ სამედიცინო დაწესებულებას და მათთვის სასურველ ვაქცინას.

ხობის ევექსის კლინიკაში ყველა აუცილებელი პირობაა ვაქცინაციის ნორმალურად ჩატარებისთვის. ასაცრელი კაბინეტი დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით. საყოველთაო ვაქცინაციის დაწყებისას კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო აცრები ჩატარდება შ.პ.ს. „პულსში“ და შ.პ.ს. „მკურნალში“.

2020 წლის ივნისის თვიდან დღემდე ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში წარმატებით მიმდინარეობს საქართველოს მთავრობის №975 განკარგულებით გათვალისწინებული რისკ ჯგუფებს მიკუთვნებული პირების გამოკვლევა კოვიდ-19-ზე სწრაფი, მარტივი ანტიგენის და პჯრ პულირებული კვლევის ტესტებით. რისკ ჯგუფების რაოდენობა გაფართოებულია, მათ ამ ეტაპზე მიეკუთვნება განათლების, კულტურის, სპორტის, სკოლამდელი გაერთიანების, სამაშველო სამსახურის, პოლიციის, დაცვის პოლიციის, ჯანდაცვის დაწესებულებების თანამშრომლები, სამგზავრო მიკროავტობუსებისა და ტაქსის მძღოლები, რელიგიის მსახურები.

მიმდინარეობს მოსახლეობის საყოველთაო გამოკვლევა კოვიდ-19-ზე სწრაფი, მარტივი. ანტიგენის და პჯრ პულირებული კვლევის ტესტებით მისამართზე ქ. ხობი, კოსტავას ქ.№3. ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი. ყოველდღიურად, გარდა კვირისა, დილის 10 საათიდან 17 საათამდე.

ვიკვლევთ თვითდინებით მოსულ ნებისმიერ მოქალაქეს, როგორც სიმპტომიანებს, ასევე უსიმპტომოებსაც.

წარმოება-დაწესებულების თანამშრომლების და მოსახლეობის ტესტირების მიზანია, დროულად გამოვავლინოთ ინფიცირებულები, დროულად ჩავაბათ მკურნალობაში, ხოლო ინფიცირებულებთან კონტაქტში მყოფი ყველა პირი და თვით ინფიცირებულები, გადავიყვანოთ 12 დღიან იზოლაციაში.

კოვიდ 19-ის შემცირებისა და პრევენციისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს რეგულაციების დაცვას, თვითიზოლაციის წესების დაცვას და რა თქმა უნდა, ამის პარარელურად ჯანმრთელი პირების მიერ ვაქცინაციის ჩატარებას.

ცნობის სახით მინდა ინფორმაცია მივცე მოსახლეობას, რომ კოვიდ 19-ით ინფიცირებული პირი დადასტურებიდან 3 თვის განმავლობაში არ ექვემდებარება ტესტირებას. ასევე კოვიდ-19-ით ინფიცირებული პირი ვაქცინაციას ექვემდებრება დადასტურებიდან 4 თვის შემდეგ. გამოსაკვლელი ტესტებით ჩვენს მიერ უზრუნველყოფილია ხობის ევექსის კლინიკა, ასევე სასოფლო-საექიმო ამბულატორიები მათი მოთხოვნის შესაბამისად.

კოვიდ-19–ის წინააღმდეგ ბრძოლაში ჯანდაცვის ცენტრს გვაქვს სათანადო პირობები და საშუალებები.

დახმარებას გვიწევს ვერაგი ინფექციის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გატარებაში ხობის მუნიციპალიტეტის მერი ბატონი გოჩა ქაჯაია და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი ედიშერ ჯობავა, რისთვისაც მათ ჯანდაცვის ცენტრის სახელით ვუხდით მადლობას.

ბოლოს გამოვთქვამ ღრმა რწმენას, ყველანი ერთად, რეგულაციების დაცვით, ვაქცინაციის ჩატარებით მივაღწევთ წარმატებებს კოვიდ 19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჯუმბერ ტურავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე, ექიმი-პროფილაქტიკოსი.

„ვმუშაობთ მონოკლონური ანტისხეულის შემოტანაზე“

ვმუშაობთ, მონოკლონური ანტისხეულის ქვეყანაში შემოტანაზე, რამდენიმე კვირა დასჭირდება ამ პროცესის დასრულებას და გვექნება საშუალება მონოკლონური ანტისხეულების გამოყენება ჩვენს ქვეყანაშიც დავიწყოთ,–ასე პასუხობს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე თამარ გაბუნია „ინსაშუალება მონოკლონრი ანტისხეულების გამოყენება ჩვენს ქვეყანაშიც დავიწყოთ“,- აღნიშნავს გაბუნია.

ტერპრესნიუსის“ კითხვას, ხომ არ იგეგმება ქვეყანაში მონოკლონური ანტისხეულის პრეპარატის „სოტროვიმაბის“ შემოტანა, რომელიც აშშ-ის საკვებისა და მედიკამენტების ადმინისტრაციამ კორონავირუსით ინფიცირებული 12 წლის და უფროსი ასაკის პაციენტების სამკურნალოდ, საგანგებო გამოყენებისთვის დაამტკიცა.

როგორც გაბუნია აღნიშნავს, მონოკლონურ ანტისხეულებს ქვეყანა დონაციის გზით მიიღებს.

„ჩვენ სხვადასხვა მწარმოებელთან ვმუშაობთ უახლესი მედიკამენტების ქვეყანაში შემოტანაზე, რაც პოტენციურად დადებითი შედეგის მომტანი შეიძლება იყოს კოვიდის შემთხვევაში.

„სოტროვიმაბი“ მონოკლონური ანტისხეულის ჯგუფის პრეპარატია, მონოკლონური ანტისხეულის ჯგუფის სხვა პრეპარატებიც არის. ჩვენ ამ ეტაპზე სხვა დასახელების მონოკლონური ანტისხეულის ქვეყანაში შემოტანაზე ვმუშაობთ დონაციის გზით, კონკრეტულად „ბამლანივამაბის“ და „ეთისივამაბის“ ქვეყანაში შემოტანაზე.

ვფიქრობთ, რამდენიმე კვირა დასჭრიდება ამ პროცესის დასრულებას და გვექნება

ცნობისთვის, რამდენიმე დღის წინ აშშ-ის საკვებისა და მედიკამენტების ადმინისტრაციამ კორონავირუსით ინფიცირებული 12 წლის და უფროსი ასაკის პაციენტების სამკურნალოდ, საგანგებო გამოყენებისთვის, მონოკლონური ანტისხეულის პრეპარატი „სოტროვიმაბი“ დაამტკიცა.

CNN-ის ინფორმაციით, ავტორიზაცია ეხება მედიკამენტის გამოყენებას „კოვიდ 19“-ის მსუბუქი და საშუალო სიმძიმის მიმდინარეობის დროს იმ პაციენტებში, რომლებიც დაავადების გართულების რისკის ქვეშ იმყოფებიან და არა უკვე ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში, რომლებიც ჟანგბადის მიწოდებას საჭიროებენ. აშშ-ის საკვებისა და მედიკამენტების ადმინისტრაციაში განმარტავენ, რომ მონოკლონურმა ანტისხეულებმა შეიძლება გააუარესოს იმ ჰოსპიტალიზებული კოვიდპაციენტების შედეგები, რომლებიც ჟანგბადს ან მექანიკურ ვენტილაციას საჭიროებენ. მედიკამენტზე ჩატარებულმა კლინიკურმა ცდამ აჩვენა, რომ „სოტროვიმაბი“ ეფექტურია კორონავირუსის ბრიტანული, სამხრეთ აფრიკული, ბრაზილიური და ინდური ვარიანტების წინააღმდეგაც.

სოფელი დიდი ისტორიული წარსულით

სოფელი

თქვენი გაზეთის მეშვეობით მივესალმები „ხობის მოამბეს“ მკითხველს, ჩემთვის პატივია თქვენი აუდიტორიის წინაშე ვისაუბრო იმ მნიშვნელოვან და პრიორიტეტულ პროექტებზე, რაც ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში დაიგეგმა, მიმდინარეობს და განხორციელდა...

ხეთის ადმინისტრაციული ერთეული არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტერიტორია, რომელიც თავის მხრივ მოიცავს 5 სოფელს ხეთას, წინაგოლას, ნოჩხონს, ოხვამეკარსა და ლარჩვას. ჩემთვის პატივი და პასუხისმგებლობაა ვემსახურო ჩემს სოფელს, სადაც ძალიან პატივსაცემი და განათლებული ხალხი ცხოვრობს, სოფელს, რომელსაც დიდი ისტორიული წარსული აქვს, სადაც უამრავი კოლორიტი ადამიანი ცხოვრობს, სადაც დაიბადნენ ჩვენი დროის გმირები–გოგა ჭითანავა და ლევან ტურავა. სოფელს, რომელიც უამრავი წარმატებული და ღირსეული ადამიანის „ოდაბადეა“. ჩემთვის პრიორიტეტულია გავითვალისწინო თითოეული ხეთელის მოსაზრება და ვიყო მათ გვერდით. მე, მათ წინაშე და არა მხოლოდ მათ წინაშე, გამაჩნია უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა. ყოველთვის ვდგავარ და ვიდგები იქ, სადაც სიმართლეა, სადაც დანდობაა და სადაც სიყვარულია. სწორედ ასე მოვედი დღემდე. ჩემი დევიზია, ერთგულად, დაუღალავად, პატიოსნად და სიყვარულით ვემსახურო ჩემს ხეთას და ვიყო პირნათელი ხეთელების წინაშე.

2013 წლიდან ვარ ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, დამეთანხმებით, არ არის იოლი ამდენი წელი ემსახურო სოფელს, სწამდეთ და სჯეროდეთ შენი. აქ გვერდით დგომაც კარგად იციან და დაფასებაც.

დღეს ძალიან მძიმე ვითარებაში გვიწევს ცხოვრება, მძვინვარებს პანდემია, ამ ყველაფრის ფონზე ვგრძობ მოსახლეობის ნდობას, მათ გვერდში დგომას, რაც ბოლო საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე აისახა.

ხეთამ ერთ-ერთი ყველაზე მაღალი შედეგი დადო არჩევნებზე, რაც მათ გარეშე ნამდვილად წარმოუდგენელი იქნებოდა. მადლობა მათ ამისთვის. ხეთელებს მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გააჩნიათ. ისინი რეალურად ხედავენ პრობლემას, ხედავენ მათი გადაჭრის გზებსა და აფასებენ განხორცილებულ და მიმდინარე სამუშაოებს.

2013 წლიდან დღემდე ხეთაში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა.

სრულად გაზიფიცირდა ხეთის ადმინისტრაციული ერთეული.

კეთილმოეწყო საბავშვო ბაგა-ბაღი, რომელიც დაკომპლექტებულია კვალიფიციური პედაგოგებით.

35 კილომეტრზე მოიხრეშა შიდა გზები.

650 ოჯახს მიეწოდება წყალი. სოფელ ოხვამეკარში გზაზე დაიგო ბეტონის საფარი,

ამოიწმინდა სანიაღვრე არხები და მოეწყო რკინის ცხაურები.

სოფელ წინაგოლაში 3.5 კილომეტრზე დაიგო ასფალტ-ბეტონის საფარი და მოეწყო ეზოებში შესასვლელები.

კორცხოს უბანში აშენდა ნაპირდამცავი გაბიონი, 1.8 კილომეტრზე დაიგო ცემენტ-ბეტონის საფარი, მოეწყო სანიაღვრე არხები და ეზოებში შესასვლელები.

რეაბილიტირდა გოგა ჭითანავას და ლევან ტურავას სახელობის მინერის რეაბილიტაციის პროგრამით, ხეთაში რეაბილიტირდა ხიდი და ხიდბოგირი. ოხვამეკარში შეკეთდა ხიდი და ხიდბოგირი. სამელიორაციო სამუშაოები ჩატარდა 215 ჰექტარ მიწის მასივზე. ნატანი მასისგან გაიწმინდა მაგისტრალური და შემკრები არხები. ნატანი მასისგან

სპორტული მოედანი. დაიგო ახალი ხელოვნური საფარი, შეკეთდა და შეიღება სტადიონის ღობე. ეფექტურად მუშაობს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, რომლის ფარგლებში ხეთაში არაერთი პროექტი განხორციელდა;

წინაგოლაში მოეწყო სკვერი. შეკეთდა შიდა სასოფლო გზები. ამოიწმინდა სანიაღვრე არხები. ოხვამეკარსა და ნოჩხონში მოიხრეშა შიდა სასოფლო გზა. კ. გამსახურდიას ქუჩაზე დაიგო ბეტონის საფარი.

სტიქიის დროს დაზიანებული ინფრასტრუქტურა ასევე ღელე ბაკვაღალუ გაიწმინდა, განხორციელდა ნაპირსამაგრი სამუშაოები, მოეწყო ხიდ-ბოგირი.

სოფელ ხეთაში დაიგო ცემენტ-ბეტონის გზის საფარი. ლარჩვაში საცალფეხო ხიდი აშენდა. სოციალურად დაუცველ 16 ოჯახს დაუფინანსდა საცხოვრებელი სახლის სახურავის მასალის საფასური. ადგილობრივებს უფინანსდებათ საოპერაციო თანხა, 18 წლამდე მოზარდებს სახელმწიფომ გაუწია 200 ლარიანი დახმარება. აქტიურად ხორციელდება აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებები.

სოფელ წინაგოლაში მოეწყო გარე განათება. სოფელ ოხვამეკარში მიმდინარეობს სასმელი წყლის სათაო ნაგებობისა და მაგისტრალის სრული რეაბილიტაცია. გამოცხადებულია ტენდერი გზის მშენებლობაზე სოფელ ოხვამეკარში.

ახლო მომავალში დაგეგმილია სოფლისთვის სხვა პრიორიტეტული საკითხების მოგვარება. გრძელდება საპროექტო სამუშაოები, თუმცა გასაკეთებელი კიდევ ბევრი გვაქვს. სოფელი ჩვენი სავიზიტო ბარათია, მას გაფრთხილება და მოვლა სჭირდება.

მჯერა, ახლო მომავალში ცენტრალური და ადგილობრივ ხელისუფლების მხარდაჭერით, ის მნიშვნელოვანი პრობლემებიც მოგვარდება, რაც ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ამ დრომდე გადაუწყვეტელია.

მინდა ვისარგებლო თქვენი გაზეთით და განსაკუთრებით აღვნიშნო ხეთის ადინისტრაციულ ერთეულში ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის აბელ ქირიას და სოფლის სპეციალისტების ბადრი ჭითანავას და მარინა ხასიას შრომა, მათი მხარში დგომა. ისინი წლებია ღირსეულად ემსახურებიან სოფელს.

მჯერა, ერთად დგომითა და ერთმანეთის გატანით, ბევრ კეთილ და კარგ საქმეს გავაკეთებთ ჩვენი სოფლის უკეთესი ხვალინდელი დღისთვის.

შავლეგ ბუკია,
ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში.

ქვემო ქვალონის თემში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები

ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის თემი გამორჩეულია მოსახლეობის რიცხოვნობით, მდებარეობით, უბნების სიმრავლით... ქვემო ქვალონის თემში შედის შემდეგი უბნები: გიმოზგონჯილი, ბულიში, გვიმარონი, დურღენა, ჭითაუშქური. თემში სულ ცხოვრობს 910 კომლი,

მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 3006 სულს.

მიმდინარე წლის განმავლობაში, ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების მიუხედავად, თემის განვითარებისა და კეთილმოწყობის პროცესი არ შეწყვეტილა. პანდემიის პირობებშიც კი, შესაძლებლობის ფარგლებში, გრძელდებოდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში არაერთი მნიშვნელოვანი და სოფლისთვის სასიკეთო საქმე გაკეთდა,

ერთ-ერთი გამორჩეული, თემისთვის უმნიშვნელოვანი და შთამბეჭდავი პროექტი გახლავთ სკოლის ახალი შენობის მშენებლობა, რომელიც ორი წლის წინ დაიწყო და დაახლოებით ორ თვეში დასრულდება. ახალ სასწავლო წელს სოფლის ახალგაზრდები სკოლის ახალ, თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფილ შენობაში განაგრძობენ სწავლას, რაც ძალიან სასიხარულოა სოფლის ყველა მაცხოვრებლისთვის.

გარემონტდა და კეთილმოეწყო თემის საკრებულოს შენობა, სადაც განთავსებულია ამბულატორია, ბიბლიოთეკა...

ცენტრალურ მაგისტრალზე მიმდინარეობს გარეგანათების მოწყობა ფოთამდე.

თემის რამდენიმე უბანში მოგვარდა წყლის მიწოდების პრობლემა (მილების დაზიანების გამო); ამ ეტაპზე მიმდინარეობს წყლის მილების შეცვლა დურღენის უბანში; ასევე, დაწყებულია სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები გიმოზგონჯილის უბანში.

უახლოეს პერიოდში დაგეგმილია აღნიშნული სამუშაოების ჩატარება სხვა უბნებშიც: კერძოდ, სანიაღვრე არხების გაწმენდა დურღენის უბანში და ჭითაუშკურში, ასევე სოფლის შიდა ქუჩების მოხრეშვა...

ქვემო ქვალონის თემში ინფრასტრუქტურული პროექტები მომავალშიც გაგრძელდება, რაც აუცილებელია სოფლის განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობისთვის.

ცოტნე დადიანი,
ხობის მუნიციპალიტეტის მერის
წარმომადგენელი ქვემო ქვალონის
ადმინისტრაციულ ერთეულში.

საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა რეგისტრაცია დაიწყო

აღსაზრდელთა რეგისტრაცია შესაძლებელია: ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების “ 25-ვე სტრუქტურულ ერთეულში.

რეგისტრაციისთვის წარმოსადგენია შემდეგი დოკუმენტაცია:

ბავშვის დაბადების მოწმობა (2 ეგზემპლარი);

ჯანმრთელობის ცნობა (ჩატარებული აცრების მითითებით);

ფოტოსურათი -2 ცალი (3X4);

მშობლების პირადობის მოწმობის ასლები.

აღსაზრდელთა რეგისტრაცია:

2-3 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფში (ბაგის ჯგუფი) რეგისტრაციას გადის ყველა ის აღსაზრდელი, რომელსაც სასწავლო-სააღმზრდელო წლის დასაწყისში (15 სექტემბერს) უსრულდება 2 (ორი) წელი.

2-3 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფში აღსაზრდელები რეგისტრირდებიან შემდეგ საბავშვო ბაგა-ბაღებში:

ქალაქ ხობის 1 საბავშვო ბაგა-ბაღი;

ქალაქ ხობის 2 საბავშვო ბაგა-ბაღი;

პირველი მაისის საბავშვო ბაგა-ბაღი;

საჯიჯაოს საბავშვო ბაგა-ბაღი;

ხეთის საბავშვო ბაგა-ბაღი;

ძველი ხიბულის საბავშვო ბაგა-ბაღი.

3-4 წლიანთა, 4-5 წლიანთა, 5-6 წლიანთა (სასკოლო მზაობის), შერეულ ასაკობრივ (3-დან 6 წლამდე) ჯგუფებში რეგისტრირდებიან ის აღსაზრდელები, რომელთაც სასწავლო-სააღმზრდელო წლის დასაწყისში (15 სექტემბერს) უსრულდებათ შესაბამისი ასაკი.

აღსაზრდელთა ჩარიცხვა:

საბავშვო ბაღებში რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, მთავარი სპეციალისტი განცხადებას გადაწყვეტილების მისაღებად, წარუდგენს სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების დირექტორს.

გაერთიანების დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ხორციელდება აღსაზრდელთა ჩარიცხვა შესაბამის ასაკობრივ ჯგუფებში.

საბავშვო ბაღებში ჩარიცხვის პროცესში პრიორიტეტი ენიჭებათ შემდეგი კატეგორიის აღსაზრდელებს:

1. სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვებს;

2. მრავალშვილიანი ოჯახის შვილებს;

3. დედით ან/და მამით ობოლ ბავშვებს;

4. მარტოხელა ოჯახის შვილებს;

5. იმ ოჯახის შვილებს, რომელთა და-ძმა ჩარიცხულია იმავე ბაღში;

6.სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს.

ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებებში აღსაზრდელთა რეგისტრაციის პროცესი იწარმოებს მიმდინარე წლის 1 ივნისიდან 1 ივლისამდე.

აღსაზრდელთა ჩარიცხვა განხორციელდება მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე.

განცხადებების მიღება მოხდება კოვიდ-19 პანდემიის რეგულაციების სრული დაცვით.



კაპიტონ ცხადაია 96 წლის, სამეგრელო ზემო სვანეთის ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევიდან.

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი იხსენებს ეპიზოდებს თავისი ცხოვრებიდან. გვიყვება ოჯახზე, რომელიც მასზე ზრუნავს და უყვარს. 2020 წლის 9 მაისს პრეზიდენტმა სამადლობელი წერილი გაუგზავნა, როგორც ომის ვეტერანს და დააჯილდოვა.

„ადამიანი მეორე მსოფლიო ომიდან“

,მოგესალმებით ბატონო კაპიტონ, დიდ მადლობას გიხდით, რომ დრო დამითმეთ და ინტერვიუს ჩაწერაზე დამთანხმდით. როგორც ჩემთვის ცნობილია, თქვენ ხართ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი. მოგვიყევით ომზე, როგორია რიგითი ახალგაზრდა ჯარისკაცის თვალით დანახული ომის საშინელება.

–მოგესალმებით, თავიდან იმით დავიწყებ, რომ მე იმ თაობას ვეკუთვნი რუსულის გარდა მშობლიურ ენაზე დალაპარაკებისთვის მოსწავლეებს „ლინეიკას“ რომ გვირტყამდნენ მასწავლებლები.

ალბათ დღევანდელი მოსწავლეებისთვის ეს წარმოუდგენელიც კია, თუმცა იყო ასეთი დროც.

სკოლის დამთავრებიდან მალევე ომში გაგვიწვიეს. თავიდან ქ.ფოთში წაგვიყვანეს. ზღვა მანამდე არ მქონდა ნანახი. ერთი კვირა იტვირთებოდა გემი. ინფორმაციებს არ გვაწვდიდნენ. ზოგი, ვინც უკვე გამოცდილი იყო და იცოდა წინ რაც ელოდა, გემიდან ხტებოდა.

გვამზადებდნენ ომისთვის. მახსოვს, როგორი რთული იყო ჩვენთვის ერთ მწკრივში ჩავმდგარიყავით და ერთ ტემპში გადაგვედგა ნაბიჯი. ხშირად ერთმანეთს ვეჯახებოდით, ნორმალურად იარაღის დაჭერაც არ შეგვეძლო გამოუცდელები ვიყავით. იარაღი რაში არგია ადამიანს, თუკი მისი მოხმარება არ იცის. ბევრი გემი ჩაძირეს, ზოგმა აფეთქებისას ხელი ან ფეხი დაკარგა, თუმცა ამას ვინ ჩიოდა, მთავარი იყო, ცოცხლები დარჩენილიყვნენ.

მეც აფეთებისას ცხვირი დავიზიანე და ნესტოებიდან სუნთქვა არ შემეძლო, თუმცა მადლობა ღმერთს გადავრჩი. მახსოვს, როგორ გამოაცხადეს ომის დასრულება. ჩვენს სიხარულსა და ბედნიერებას საზღვარი არ ქონდა, ეს იყო ერთი დიდი გამარჯვება.

ჩემი ბიძაშვილი, ისევე როგორც მე, მეზღვაურები ვიყავით. ოჯახს კარგა ხანი გვეგონა, რომ ჩემი ბიძაშვილი ომში დაიღუპა ან დაიკარგა როგორც სხვები, თუმცა მოულოდნელმა წერილმა ეჭვი გააქარწყლა. 1947 წელს მისმა ძმამ წერილი ჩამოიტანა, სადაც იტყობინეობდა, რომ ცოცხალი იყო და საქმეების გამო ვერ შეძლო ჩვენთვის წერილის გამოგზავნა.

როგორ გაგრძელდა თქვენი ცხოვრება ომის შემდეგ?

ომის დასრულების შემდეგ ჩავაბარე ქ.თბილისში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. 1948 წელს დავქორწინდი. მე და ჩემი მომავალი მეუღლე ტასო ზამბახიძე (შემდგომში რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი). ერთად ვსწავლობდით ინსტიტუტში. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ჩემს დროში რთული იყო ისეთი ბიჭის პოვნა ფეხი ან ხელი, რომ არ ჰკლებოდა. შეიძლება ითქვას, ამ მხრივ გამიმართლა და თითქმის დაუზიანებელი ვიყავი. ნაწილობრივ, ალბათ, ამითაც მოიხიბლა ჩემი მეუღლე. ჩემს სახლში დაბრუნების შემდეგ ვმუშაობდი ქ.ხობის ემტეესში, სოფტექნიკაში და სოფლის მეურნეობის სამმართველოში.

ომის შემდგომ ხალხი მარტივად დაუბრუნდა თავიანთ საქმეს. მართალია მძიმე იყო დანაკარგი, ბევრი ვერ დაბრუნდა ომიდან. ხალხი გაუბედურდა, მაგრამ გამარჯვება ფაშიზმზე ერთი დიდი სიხარული იყო, რომელიც ყველას გვაერთიანებდა.

მოგვიყევით თქვენს ოჯახზე

–მყავს შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები. შემიძლია ვთქვა, რომ ბედნიერი ვარ, რადგან ჩემს გარშემო ძვირფასი ადამიანებია. ჩემი მომავალი და იმედი ისინი არიან.

2020 წლის 9 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა ყველა ომის ვეტერანს მოგვილოცა ეს დღე და დაგვაჯილდოვა. მადლობას ვუხდი ჩემს ქვეყანასა და ოჯახს, რომლის დახმარებითაც მე დღეს მშვიდი და ჰარმონიული სიბერე მაქვს.

როგორია იყოთ წარმატებული ადამიანი?

–მე და სხვები, ვინც მეორე მსოფლიო ომში ვიბრძოდით, ფაშიზმის წინააღმდეგ, მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანეთ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ერთიანი ძალით, თავგანწირვით შევძელით გამარჯვება და მომავალ თაობას გადავეცით ჩვენი გამოცდილება. ხალხი, რომელიც უკან ვერ დაბრუნდა, ქვეყნის და განსაკუთრებით მათი ახლობელი ადამიანების დიდი ტკივილია. ჩვენ კი ღვთის წყალობით, ვინც შევძელით გადარჩენა, ვართ სიმბოლო უკეთესი მომავლისა და იმედის.

ესაუბრა ჟურნალისტი ქეთევან გაბრავა

მშობლიური მიწის გარეშე დარჩენილი მამის სავანე

ახალ საუკუნეში, ისტორიული მოვლენის შეფასებისას, თითქოს საბოლოოდ დაესვა წერტილი მეორე მსოფლიო ომს. კმარა, ყველაფერი ითქვა, რაც შეიძლებოდა თქმულიყო, მაგრამ არა, დღესაც მოუშუშებელ იარად რჩება ომის ტრაგიზმი.

* * *

გიგიბერიებისა და ყურაშვილების ოჯახში სტუმრობისას სათუთად შენახულ „ძველ ალბომებს“ გადავავლე თვალი. 37 წლის შემდეგ ნაპოვნია დაკარგული ჯარისკაცის საფლავი, კაპიტონ გიგიბერია ხობის რაიონის სოფელ ქარიატიდან.

ბატონი კაპიტონ გიგიბერიას ბიოგრაფია არაფრით განსხვავდება მისი თანატოლების ბიოგრაფიიდან. როგორც ბევრი, ისიც მოხალისედ წავიდა ომში.

პირველი საბრძოლო ნათლობა მახაჩკალის მისადგომებთან მიუღია. დაჭრილა მახაჩკალის სამხედრო ჰოსპიტალიდან დედას შეხმიანებია–ტყვია მაქვს ფეხში, ჰოსპიტალში ვწევარ, მალე კარგად ვიქნები, ჩემზე ნუ იჯავრებთ, „ტილისკვერი“ და არაყი გამომიგზავნეთ. სხვა არაფერი მინდა. სოფლის ამბებს კითხულობდა, ბიჭები როგორ არიანო.

უფროს ვაჟს, რომელიც მეცხრე

კლასში იყო, წერდა: დიდი ბიჭი ხარ, ოჯახს მიხედე, ხომ იცი, ვისი გორისა ხარ, მეც მალე მოგისწრებ...

ეს იყო ერთადერთი წერილი მისგან.

1945 წელს მისი დაღუპვის შესახებ შეტყობინება მოსულა, მაგრამ იგი მაშინ უკვე ორი წლის გარდაცვლილი ყოფილა. ოჯახმა ისე იგლოვა, ჭირისუფლებს დაღუპულის ცხედარი არ უნახავთ. იმედიც გადაეწურათ, ოდესღაც მისი საფლავის პოვნას შესძლებდნენ.

ბევრმა სამუდამო სავანე უცხოეთში ჰპოვა, ბევრი უგზო-უკვალოდ დაიკარგა, თუმც განგებამ ამგვარი ხვედრისთვის ყველა არ გაწირა და 37 წლის შემდეგ ოჯახმა დაკარგული ჯარისკაცის საფლავი იპოვა.

კაპიტონ გიგიბერიას ერთადერთი ქალიშვილი ქალბატონი ლიანა, რომელიც წლების განმავლობაში ქ. ფოთის გუნიას სახელობის დრამატულ თეატრში რეკვიზიტორად მუშაობდა, იხსენებს–დედას მამის საფლავის ძებნა არასოდეს შეუწყვეტია. ამ ამბიდან 37 წლის შემდეგ სოფელში ხმა გავარდა კაპიტონ გიგიბერიას საფლავი არსებობსო. ერთ-ერთ მეზობელს გაზეთი შეუძენია „მალადიოჟ გრუზიი“ სწორედ აქ ყოფილა გამოქვეყნებული ბრძოლის ველზე ნაპოვნი ჯარისკაცების სახელ-გვარები, დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები და დაკრძალვის ადგილი. იქიდან გამომდინარე, რომ სია საკმაოდ გრძელი იყო, იგი აღნიშნულ

გაზეთის რამდენიმე ნომერში დაიბეჭდა. წერილების ავტორია ვალენტინა მაკაროვა, რომელიც მახაჩკალაში დაღესტნის სახელმწიფო ისტორიულ არქიტექტურულ მუზეუმში მუშაობდა. მისი წყალობით მივაკვლიეთ საფლავს. 1988 წელს აღდგომის დღესასწაულზე პირველად მოვინახულეთ და საფლავს ჩვენი სოფლის მიწა დავაყარეთ. მაშინ ჩემი ძმები ცოცხლები იყვნენ. რატომღაც ჩვენს გარდა, იქ არავინ იმყოფებოდა, როგორც მერე გავარკვიეთ ამ საფლავთან დიდი ზეიმი–გამარჯვების დღე იმართებოდა. მეორე წელს 9 მაისს ჩავედით მახაჩკალაში. ადგილობრივ ხელისუფლებას ვთხოვეთ დაგვხმარებოდა გადმოსვენებაში, მაგრამ უარი მივიღეთ, რადგან ეს საფლავები სამხედრო მემორიალს წარმოდგენდნენ. დღეს კი, ამ საფლავების ბედი არავინ იცის, რადგან ცნობილი მოვლენების შემდეგ იქ ჩასვლა ვერავინ ვერ მოახერხა.

ქალბატონ ლიანას თვალებში დიდი ნაღველი და სევდა ამოვიკითხე. გულს ულრღნიდა შორს, ძალიან შორს მშობლიური მიწის გარეშე დარჩენილი მამის სავანე.

დიდხანს იცოცხლეთ ქალბატონო ლიანა, მიიღეთ ჩემგან გულწრფელი მოკითხვა.

ნაირა ბერაია

ნიჭიერებითა და თავმდაბლობით გამორჩეული!

გულს სიამაყით მივსებს ჩვენი გაზეთის ბოლო ნომრებში გამოქვეყნებული მასალები, რომლებიც წარმატებულ ადამიანებს გვაცნობს.

მახარებს ისიც, რომ ჩემს სოფელში, ჩემს საახლობლოში ამდენი ნიჭიერი და წარმატებული ადამიანია, მათ შორის ახალგაზრდები, რომლებიც დედაქალაქში ცხოვრობენ და სამეცნიერო- კვლევით საქმეებს აკეთებენ.

ამჯერად თინათინ (თეა) ბუკიაზე მოგიყვებით, რომლის მიზანია დაიხარჯოს ახალგაზრდების ცოდნის ამაღლებისთვის, ქვეყნისთვის, თავისი პროფესიონალიზმით სიახლეების სხვებზე გადაცემისთვის. ამასთან სურს, მისი საქმე სიყვარულით აკეთოს.

თითქოსდა უეცრად გაირბინა წლებმა. თინათინი, თენგო და თამუნა ჯერ კიდევ ბაღში დადიოდნენ, თუმცა უზომოდ საინტერესონი იყვნენ. ყოველ დილა-საღამოს მათი ჭიშკარი უნდა გამევლო. ეს ლამაზი, ქერა ბავშვები მხვდებოდნენ და სიცილ-კისკისით, სიყვარულით მესალმებოდნენ „გა-მარ-ჯო-ბა ნა-ნი ბი-ცო-ლა“. ეს ჟესტი საოცრად მომწონდა, ბავშვებს ბედნიერ მომავალს ვუსურვებდი და ჩავკოცნიდი ხოლმე. ისინი უკვე თავად არიან სტუდენტი და სკოლის მოსწავლე შვილების მშობლები, მე კი დღესაც, როდესაც მათ ჭიშკარს ვუახლოვდები, მეღიმება და მახსენდება მათი საოცარი მისალმება.

თინათინი (თეა) ყველაზე უფროსი იყო, გამორჩეულად ლამაზი და ნიჭიერი. შესანიშნავად მღეროდა და უკრავდა ფორტეპიანოზე (ხეთის სამუსიკო სკოლაში სწავლობდა), მათემატიკაში უძლიერესი იყო, როგორც მისი და-ძმა. ეს ნიჭი მათ შვილებსაც გამოჰყვათ. გამორჩეულად უყვარდა ქიმია, ბიოლოგია და საერთოდ, ყველა საგანი. ხატავდა საოცრად, ძალიან ჭკვიანი და ნიჭიერი გოგონა იყო. დღეს კი ეს ლამაზი და ცისფერთვალება ქალბატონი ქიმიის დოქტორია.

თინათინ (თეა) დაიბადა 1977 წელს, მზია ბალხამიშვილისა და ჯემალ ბუკიას ოჯახში. დაამთავრა პირველი მაისის საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ორგანული ქიმიის ფაკულტეტზე. ცოდნის დაუფლებას და არჩეულ პროფესიაზე სწავლას დიდი პასუხისმგებლობით მიუდგა. უნივერსიტეტის დამთავრებით სწავლა არ შეუწყვეტია. 1997-2002 წლებში სწავლობდა „ქიმია და ქიმიური ექსპერტიზის“ ფაკულტეტზე თსუ-ს ზუგდიდის ფილიალში. 2003-2005 წლებში მაგისტრის აკადემიური ხარისხი მიიღო ორგანული ქიმიის დაუფლებაში. 2016 წელს მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანული ქიმიის დოქტორის წოდება.

თინათინი 2011 წლიდან დღემდე არის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანული ქიმიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ასევე სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიური ლაბორატორიების ინსტრუქტორი. 2019 წლიდან ვ. ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი. აღვნიშნე, რომ 2016 მას წელს მიენიჭა დოქტორის აკადემიური ხარისხი, ორგანული ქიმიის მიმართულებით, თემაზე: „ადამანტანის ფრაგმენტის შემცველი ბენზიმიდაზოლები და დიპეპტიდები: სინთეზი და კვლევა“ (რომელიც ეხება ბიოლოგიურად აქტიური ახალი ნაერთების მიღებას და კვლევას). იგი 2008 წლიდან მუშაობს ორგანული სინთეზის მიმართულებით.

თინათინ ბუკიას გამოქვეყნებული აქვს 41-მდე სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის 13 სტატია და 28 საკონფერენციო თეზისი (მონაწილეობა აქვს მიღებული როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კონფერენციებზე). მას სინთეზის მიმართულებით აქვს 14 წლიანი სამეცნიერო-პრაქტიკული, ასევე სამეცნიერო კვლევით მუშაობის გამოცდილება. მათ შორის ზაარლანდის უნივერსიტეტში (ზაარბრიუკენი, გერმანია), სადაც ის იმყოფებოდა ორჯერ 2012-2014 წლებში დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის საგრანტო კონკურსში გამარჯვებისთვის.

თინათინს მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ საგრანტო პროექტში, როგორც პროექტის ხელმძღვანელი, პროექტის კოორდინატორი, მეცნიერ-მკვლევარი. მათ შორის: ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტები (NOYS-2016-71), დოქტორანტის გრანტი. D0/108/642/13: ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო სტაჟირებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების (YSS/33/6_420/12) ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები (YS/35/6-420/11); და ოთხამდე ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების ძირითადი შემსრულებელი (FC-211868/16, FC 217996/16, FR/154/6-420/13, GNSF/ST08/4_413).

ასევე 2015 წლიდან დღემდე, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც საქართველოშია, ქიმიური ლაბორატორიების ინსტრუქტორია. ამასთანავე, 2019 წლიდან დღემდე ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტში, ოპტიკის ქიმიურ კვლევათა ლაბორატორიაში უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია.

თინათინი მისი საქმის პროფესიონალია, ენერგიითა და პასუხისმგებლობით აღსავსე, ყველაფერში მოწინავე.

იგი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებული 2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის საგრანტო კონკურსში გამარჯვებისთვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოქროს მედლითაა დაჯილდოვებული. ბრწყინვალედ ფლობს ინგლისურ ენას, კარგად რუსულს. გარდა სამეცნიერო შრომისა, მან სხვა აქტივობებშიც გამოიჩინა თავი. ის 2018-წლიდან დღემდე ამერიკის ქიმიური საზოგადოების წევრია . 2014-2020 წლიდან ასევე გახლავთ საქართველოს ქიმიური საზოგადოების წევრი. სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, სტუდენტებთან, მეცნიერებთან ურთიერთობებში ყოველდღე ახალი საზრუნავის წინაშე დგას ახალგაზრდა მეცნიერი. ის ყველა გამოწვევას მიღწევადად აქცევს თავისი შრომისმოყვარეობით. თინათინი უზომოდ მადლობს უფალს, რომ როგორც ოჯახში, ასევე უნივერსიტეტებშიც სითბო და სიყვარული ხვდება. მისი უპირველესი საზრუნავი მისი ოჯახია, ვაჟიშვილი–ოთარი (ოთო) კირცხალია სტუდენტია, მეუღლე–ზაზა კირცხალია იურისტი.

თეა, ჩემო მშვენიერო ქალბატონო! შენი ნიჭიერებით მოხიბლულს, ყოველთვის მხიბლავდა შენი სილამაზე, მაოცებდა შენი ყოვლისშემძლეობა, სინაზე, დაუზარლობა, მოთმენის უდიდესი ნიჭი. დიდი სურვილი მაქვს, იყო მუდამ ბედნიერი, სიყვარულით, სიხარულით და წარმატებით აღსავსე. შენი ოთოც შენსავით სახელოვანი ყოფილიყოს.

ღვთის მადლი იყოს შენი ყოველდღიურობის თანმდევი!

გფარავდეს უფალი!

დიდი სიყვარულით

ნანი კილასონია.

საუკეთესო სურვილებით გეხმიანები

მახსოვს, როგორი მოკრძალებული, უთქმელი და უპრეტენზიო იყო სკოლაში. მის კლასში ბევრი ნიჭიერებით გამორჩეული ბავშვი სწავლობდა. თავად თავს არასოდეს მიიჩნევდა მათ შორის, თუმცა ძალიან ნიჭიერი, მონდომებული და კარგი მოსწავლე გახლდათ.

წლები გაილია. სკოლის დამთავრებიდან 17 წელი გავიდა. მასზე არაფერი ვიცოდი, არ ჩანდა. ახლა, როცა გაზეთ „ხობის მოამბეს“ ფურცლებზე გამოჩნდა ხობიდან წასულ მეცნიერთა გვარ-სახელები, მისმა კოლეგამ, თეა ბუკიამ მითხრა, ჩვენთან, უნივერსიტეტში უნიჭიერესი ხობელი გოგონა ნათია ჯალაღონია მუშაობსო. აღფრთოვანება ვერ დავმალე. დავუკავშირდი და მასზე მონაცემები ვთხოვე, მორიდებითა და მოკრძალებით დამთანხმდა. ის ჩემი შვილის კლასელია.

ნათია 1986 წლის 9 ნოემბერს დაიბადა და გაიზარდა მანანა ჭანტურიასა და ტარიელ ჯალაღონიას ოჯახში. ყავს ძმა კახაბერ ჯალაღონია, რომელიც გერმანიაში ცხოვრობს. ხობის №2 საჯარო სკოლის დამთავრებისთანავე ის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხა ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. 2005–2009 წლებში ბაკალავრიატია. 2009-2011 წლებში ამავე ფაკულტეტის მაგისტრი. 2012–2018 წლებში სწავლას აგრძელებს ამავე ფაკულეტის დოქტორანტურაზე. მას მიენიჭა დოქტორის აკადემიური ხარისხი ორგანული ქიმიის მიმართულებით თემაზე „მყარი პოლიმერ-ელექტროლიტების მიღება სავარცხლისებური აღნაგობის სილოქსანური მატრიცების ბაზაზე“.

ქიმიის დოქტორის დისერტაციის მასალები გამოქვეყნებულია 18 პუბლიკაციის სახით, მათ შორის 6 სამეცნიერო სტატიაა, აქედან 9 იმპაქტორის მქონე ჟურნალში, 2 კრებულში წიგნის თავების სახით. მას გააჩნია გამოცდილება პოლიმერების სინთეზში, ლითიუმის სხვადასხვა მარილების დო-

8

წარმატებული ხობელები

7

პირებით მყარი პოლიმერელექტროლიტების დამზადებაში, ნანოკომპოზიტების და კერამიკული მასალების მომზადებაში, ასევე მიღებული მასალების სტრუქტურულ-მორფოლოგიურ კვლევასა და ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების შესწავლაში.

როცა ნათია ჯალაღონიას სამუშაო გამოცდილებაზე ვკითხულობ, 2011-2014 წლებში იყო თსუ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ლაბორანტი.

2018 წლიდან არის სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ქიმიური ტექნოლოგიების ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერ–თანამშრომელი და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი.

წლების განმავლობაში ნათია ჯალაღონიას მრავალ სამეცნიერო-საგრანტო პროექტში უწევდა მონაწილეობა: ის არის მსოფლიო ბანკის და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის“ მიერ დაფინანსებული პროექტის-CLRYS-19-315 სამეცნიერო ხელმძღვანელი „ახალი პოლიმერული კომპოზიტების ბაზაზე ელექტრომაგნიტური გამოსხივების მშთანთქმელი დანაფარების შექმნა, ელექტრონული მოწყობილობების, საფენების და კოაქსიალური კაბელების ელექტრომაგნიტური გამოსხივების მინიმიზაციისთვის“, 2020–2021 წწ. ასევე როგორც ძირითადი პერსონალი, მონაწილეობს შემდეგ პროექტში: „გარემოს გლობალური დაბინძურებისგან დაცვისა და მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გაზრდის მიზნით ინოვაციური ბიოაგროტექნოლოგიის შემუშავება და მართვა“, 2020-2021 წწ.

ასევე ნათიას ხელმძღვანელობით მიმდინარეობს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გამოყენებითი კვლევებისთვის გამარჯვებული პროექტი AR-18-271 „სუპერკონდენსატორები ნახშირბადის ნანოსტრუქტურებით დოპირებული პოლიმერული ელექტროდების ბაზაზე“, 2018–2021 წწ, ამ პროექტში ის სამეცნიერო ხელმძღვანელი გახლავთ.

პროექტში №734164 HoRzon 2020 მარია სკლადოვსკაია კიურას კვლევისა და ინოვაციის გაცვლითი გრანტი „მძლავრი ელექტრომაგნიტური და თერმული თვისებების მქონე მრავალფუნქციური ნანოკომპოზიტები გრაფენის ფუძეზე 3D ბეჭდვისთვის“ 2017-2021, ნათია ამოცანების მენეჯერის რანგშია.

პროექტი №04103.6212. გარაფენის სტრუქტურის შემცველი ჰიბრიდული კერამიკული კომპოზიტები ალუმინის ოქსიდის ფუძეზე, SRNSF, STCU, 2016-2017 ამ პერიოდში გახლავთ ძირითადი პერსონალი.

ასევეა პროექტი TG-7–22016 SRNSF ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტი (2016).

პროექტი AR /325/6-480/12 ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე ულტრადისპერსული ალუმინის ოქსიდის მიღება და კორუნდის კერამიკული სამეცნიერო ფონდი. 20913-15 წ. იყო დამხმარე პერსონალი.

პროექტი 2015– 758 ინდივიდუალი სამოგზაურო გრანტი 2015.

პროექტი GNSF № CF/72/11-81115 საერთაშორისო საკონფერენციო გრანტი „თანამედროვე მასალები და ტექნოლოგიები. (LCAMT) 2015. პროექტი CF/6/6_450/130 საკონფერენციო გრანტი „თანამედროვე, მასალები და ტექნოლოგიები (LCAM), 2015 წ. პროექტი CF/6/6_450/130 საკონფერენციო გრანტი. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (2014 წ.).

ახალგაზრდა მეცნიერის–ნათია ჯალაღონიას მონაწილეობით სულ გამოქვეყებულია 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და მონაწილეობა მიღებული აქვს 20-ზე მეტ საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში. ამჟამად ჩართულია, როგორც ამოცანების მენეჯერი ევროპული კომისიის მიერ დაფინანსებულ მიმდინარე პროექტებში „გრაფენი 3D“, სადაც ჩართულია 7 ქვეყნის 10 სამეცნირო-კვლევითი ორგანიზაცია საქართველოდან, იტალიიდან, ბულგარეთიდან, ბელორუსიიდან, ბელგიიდან, ბრაზილიიდან და ჩინეთიდან.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში ნათია იმყოფებოდა სიჩუანის უნივერსიტეტში (ჩინეთი), სალერნოს უნივერსიტეტში (იტალია), მექანიკის ინსტიტუტში (ბულგარეთი).

მე ისღა დამრჩენია, ამ ნიჭიერ და მონდომებულ მეცნიერს წარმატებები ვუსურვო სამეცნიერო საქმიანობაში.

ნათია, ვიცი, რომ ძალიან ნიჭიერი, ჭკვიანი, ლამაზი და მონდომებული ახალგაზრდა ხარ. კიდევ ერთხელ გილოცავ მიღწეულ წარმატებებს. კიდევ მრავალი გამარჯვებები გქონოდეთ. მალე პირადი ბედნიერებაც მომელოცოს.

უფალი გფარავდეთ ყველაფერში.

პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით

ნანი კილასონია.

ჩვენი სოფლის სიამაყე

ეკა დადიანი დაიბადა ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონში ტრადიციულ ოჯახში. მამა–ამირიდონ დადიანი, დედა–ლუსია ჩოკორაია. ჰყავს ორი და - ფერიდე დადიანი (ეკონომისტი), იზოლდა დადიანი (მედიცინის მუშაკი).

1977 წელს დაამთავრა ქვემო ქვალონის საშუალო სკოლა. 1988-1993 წლებში სწავლობდა ქ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაასრულა.

1993 წელს დაიწყო მუშაობა აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად. 2012-2016 წლებში იყო ამავე უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების კოორდინატორი. 2017 წლიდან კი უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელია.

2006 წლიდან არის აწსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი. კითხულობს ლექციებს ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში. უძღვება სასწავლო კურსებს: ქართული ენის მორფოლოგია, ქართული ენის დიალექტოლოგია, ქართველოლოგიის შესავალი...

2001 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „კავშირებითის ნაკვთები მეგრულში (სხვა ქართველურ ქვესისტემებთან მიმართებით)“.

ეკა დადიანი აქტიურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეწევა. მისი ინტერესების სფეროს წარმოადგენს: ქართველური ენათმეცნიერება, დიალექტოლოგია, ქართული ენის გრამატიკა, ლექსიკა...

გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფიები: -კო სუფიქსით ნაწარმოები ნაკვთები მეგრულში, ქუთაისი, 2005;

ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ და საქართველო (თანაავტორები: ტ.ფუტკარაძე, რ.შეროზია), ქუთაისი, 2010;

მეგრული ზმნის პარადიგმა, ქუთაისი, 2014;

მეგრული ტექსტები (ხობი, ქვემო ქვალონი), ქუთაისი, 2015.

სახელმძღვანელოები: ქართული ენის ისტორია (ავტორთა ჯგუფთან ერთად), ქუთაისი, 2006; ქართველური დიალექტოლოგია (თანაავტორი: ტ. ფუტკარაძე), თბილისი, 2018.

ეკა დადიანი ინტენსიურად იკვლევს თურქეთის ტერიტორიაზე არსებულ ქართულ დიალექტებს. 2006-2019 წლებში პროფ. ტარიელ ფუტკარაძესთან ერთად რეგულარულად აწყობდა სამეცნიერო (დიალექტოლოგიურ) ექსპედიციებს ტაო-კლარჯეთში, რომელთა მიზანი იყო ისტორიულ ქართულ მხარეებში დღემდე შემორჩენილი ქართული ენობრივ-კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენა: იქაურ ქართველთა მეტყველების, ტრადიციების, ტოპონიმების ჩაწერა-დოკუმენტირება და მეცნიერული შესწავლა. ექსპედიციებზე ჩაწერილი უნიკალური დოკუმენტური (ვიდეო და აუდიო) მასალა დაცულია აწსუ ქართველოლოგიის ცენტრში.

არის არაერთი მონოგრაფიის რედაქტორი და რეცენზენტი: სადოქტორო დისერტაციების ოფიციალური შემფასებელი, ექსპერტი.

ეკა დადიანი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო, რესპუბლიკურ და საუნივერსიტეტო კონფერენციებში.

მისი ორგანიზატორობით ტარდება ქართველოლოგიის ცენტრის საერთაშორისო კონფერენცია „ქუთაისური საუბრები“, სტუდენტური კონფერენციები... არის ქართველოლოგიის ცენტრის სამეცნიერო ორგანოს - ჟურნალ „ქართველური მემკვიდრეობის“ რედაქტორი.

ე. დადიანს მნიშვნელოვანი კვლევები აქვს მეგრული მეტყველების მეცნიერული შესწავლის კუთხით.

მშობლიურ სოფელს ეძღვნება მისი ბოლოდროინდელი ნაშრომი - მეგრული ტექსტები (ხობი, ქვემო ქვალონი). წიგნი მრავალმხრივ არის საინტერესო.

ავტორს საფუძვლიანად, მეცნიერულ დონეზე აქვს შესწავლილი ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფელი ქვემო ქვალონი. წიგნში საარქივო და დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით, აგრეთვე სოფლის მკვიდრთა გადმოცემების საფუძველზე დეტალურად აღწერილია სოფლის ისტორია და თანამედროვე რეალობა, წარმოჩენილია სოფლის ყოფა-ცხოვრების თითქმის ყველა სფერო: ტრადიციები, რწმენა-წარმოდგენები, მეურნეობის დარგები, ზეპირსიტყვიერება, გადმოცემები სოფლისა და სოფლის მკვიდრთა გვარების შესახებ; მეცნიერული სიზუსტით წარმოდგენილია სოფლის ეთნოლინგვისტური სურათი.

შესავალში მიმოხილულია სოფლის მეტყველების ზოგადი თავისებურებები. ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეთმობა დიალექტურ ტექსტებს, ცოცხალი მეტყველების ნიმუშებს, რომელიც თემატურად არის დალაგებული (თითოეულ ტექსტს მითითებულია აქვს: მთქმელის ვინაობა, ჩაწერის თარიღი). რესპონდენტთა ბიოგრაფიული მონაცემები ტესტებს ბოლოში დაერთვის.

წიგნი წლების განმავლობაში რუდუნებით იქმნებოდა. დიალექტური მასალა უმთავრესად 1993-1995 წლებშია ჩაწერილი (მაგნიტოფონის საშუალებით). მასალის გაციფრების შემდეგ შესაძლებელი გახდა მისი დამუშავება და გამოსაცემად მომზადება. მთქმელთა მეტყველება წარმოდგენილია მაქსიმალური სიზუსტით (სპეციფიკური სამეტყველო ბგერების აღნიშვნით). წიგნს დაერთვის აუდიოჩანაწერები (CD დისკით).

სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ მეგრული ტექსტები აუდიომასალით პირველად გამოქვეყნდა.

აღნიშნული წიგნი ჩვენი სოფლის შესახებ შექმნილი უმნიშვნელოვანესი კვლევაა, რომელიც შთამომავლობას დარჩება.

— — — — — — — — — — —

P.S. პატიოსან, შრომისმოყვარე ოჯახში ფეხადგმულს და დაფრთიანებულ ახალგაზრდას არ გასჭირვებია მეცნიერულ სარბიელზე საკუთარი ღირსეული ადგილის დამკვიდრება. წონადი სიტყვის თქმა, რადგან მას გზას უკვლევდა ღვთითბოძებული ნიჭი, ოჯახიდან შრომისმოყვარეობა, სამშობლოს, თავისი კუთხის, კულტურის უდიდესი სიყვარული... უბრალოება–მისი ცხოვრების ყოველდღიურობის თანმდევია. ჩუმად, უხმაუროდ გაკეთებულ საქმეთა ნუსხა ყოველწლიურად იზრდება. ახალგაზრდა კოლეგებთან და წარმატებულ სტუდენტებთან საქმიანი ურთიერობა მისი ცხოვრების მთავრი მიზანია. იგი უშურველად გასცემს იმ ცოდნას, რითაც ახალბედები ცდილობენ გზის გაკვლევას მეცნიერული წარმატებებისკენ. უდიდესი პატივისცემით და სიყვარულით მინდა გზა დავულოცო ჩვენი სოფლის სიამაყეს დასახული მიზნების განხორციელებისკენ.

მერი ლაგვილავა.

ვაჟა დოლბაია-ეგრისელი-80

ქართული პოეზიის რაინდი

„საქართველოს სიყვარულში ვერ გაჯობა ვერავინ!“

ჩვენს თანამემამულეს, ისტორიულ სოფელ ხორგაში დაბადებულ, ყველასთვის საყვარელ ადამიანს ბატონ ვაჟა დოლბაია-ეგრისელს ამ დღეებში დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. მისი შემოქმედება უმაღლეს მწვერვალამდე აყვანილი ჯერაც შეუცნობელი მეცნიერული პოეზიაა.

იგი უაღრესად თვითნაბადი, ორიგინალური, მკაცრი ინდივიდუალური ხელწერის-ლექსთაწყობის მასშტაბური ჰორიზონტის შემოქმედია. ვაჟა ეგრისელის პოეზია ქართული უკვდავი გენის ახლებური გამოვლინებაა, სადაც ლექსადაა გადმოცემული დასაბამიდან დღემდე განვლილი საქართველოს (კოლხეთის) ისტორიული თუ პრეისტორიული პერიოდი. ამ პოეტურ აღწერაში არ არის გამორჩენილი მსოფლიოს არცერთი ღირსსახსოვარი ისტორიული პროცესი თუ მოვლენა, მითი და სინამდვილე, რომ პოეტს თავის ქმნილებებში არ გაეცოცხლებინოს და პოეტური სული არ შთაებეროს უძველესი კოლხეთის ისტორიული წარსულისთვის. იგი ხშირად ათასწლეულების მიღმა უძველეს კოლხეთს და მის ისტორიულ წარსულს ეხმიანება, ესიყვარულება და ჩვენს უახლოეს დროში გადმოჰყავს და ძეგლს უდგამს. ისტორიის მიღმა არსებული რეალური ლანდები ცოცხლდებიან და ეს ყოველივე უახლოესსა და დღევანდელობას შორის უკვდავებას ბადებენ.

„კოლხური ფსალმუნები“, „იქმენ ნათელი“ ყოველი სიტყვა ხატებთან დანთებული სანთლების ლოცვაა. მისი ყოველი ლექსი მიმართულია სამომავლოდ. ისტორიულ წარსულს ოსტატურად მიმართავს თანამედროვე ეპოქის პრობლემების გადასაწყვეტად. ყოველ თავის ლექსში იგი ცდილობს გმირული სული გააღვიძოს ქართველებში. ჩვენი გმირული წარსული აცისკროვნებს ჩვენს მომავალს და ამ მომავალს ჩვენი წარსულის ფესვები ასაზრდოებს.

„თვალებში ქართლის წარსულს
ჩავცქერი,
მესმის ყიჟინა, გმინვა, გნიასი,
ვით საზღაური, მტრისთვის გოდება
სიკვდილ სიცოცხლის ჰარმონიაში“

„ჩემს ფიქრებს სრბოლას ვერვინ
დაუშლის...
ხან ქვესკნელს და ხან სივრცეს გასდევს ზოლივით და მტკაველ-მტკაველ აქვს გაზომვილი ქართული მიწის, სიგანე და სიმაღლე ზეცის“.

ვაჟა ეგრისელის პოეტურ ქმნილებებზე შეიძლება თვეობით იფიქრო. მას ბიბლიის მსგავსად ღრმა ჩაწვდომის უნარი სჭირდება, რომ შეიგრძნო პოეტის სიბრძნე, სიტკბო და სითბო. არ შევცდები თუ ვიტყვი, გრიგოლ ორბელიანი დიდი პოეტია, მაგრამ მისი დისწული ნიკოლოზ ბარათაშვილი გენიალურია.

ანალოგიურად ალიო (მაშაშვილი) მირცხულავა თანამედროვეობის დიდი პოეტია, მაგრამ მისი დისწული–ვაჟა დოლბაია–ეგრისელი ჯერაც შეუცნობელი ფენომენია.

ჩვენი სახელოვანი მეცნიერი ივ. ჯავახიშვილი წერს: „გვარი მირცხულავა „მურიცხებიდან“ ვარსკვლავებიდან მოდის. დედით მირცხულავას (ალიო მირცხულავას და) დედის გენმა–ვაჟა ეგრისელი „როგორც დიდი პოეტი ცის საიდუმლოებებს აზიარა“.

ყველა ხობელს ეამაყება, რომ მსოფლიო ასტრონომთა ასოციაციამ ახლადაღმოჩენილ ვარსკვლავს, რომელიც დაემთხვა პოეტის დაბადების დღეს, ვაჟა ეგრისელის სახელი უწოდა. დაე, ამ ვარსკვლავმა იკაშკაშოს ცის კაბადონზე, როგორც სიმბოლო პოეტის უკვდავებისა, მისი დიდი მამულიშვილობისა და გზა გაუნათოს მომავალ თაობას საქართველოს მომავლისთვის ბრძოლაში.

გამოკვეთილად უნდა აღინიშნოს ეროვნული ჰიმნი „შავლეგო“. როგორც დიდი მეცნიერი ბატონი სოსო სიგუა ბრძანებს: „ვაჟა ეგრისელს“ სხვა რომ არაფერი დაეწერა, ქართულ პოეზიას იგი შემორჩებოდა „შავლეგოთი“.

„საქართველოს სიყვარულში
ვერ გაჯობა ვერავინ, შავლეგ ბიჭო!
დაჭიხვინებ, მხედარს უხმობს
მერანი, როგორც ზღაპრად,
ანდა როგორც არაკად, შენს
სამშობლოს შეეწირე ზვარაკად“.

მე პირადად მქონდა დიდი ბედნიერება დავსწრებოდი ვაჟა ეგრისელის 70 და 75 წლის იუბილეს. ამ იუბილეზე მის მიერ წაკითხულმა „შავლეგომ“ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებას შორის და დიდი ოვაციებით (მთელი დარბაზი ფეხზე მდგარი) დაჯილდოვა იგი.

ეზიარები მისი შემოქმედების სიდიადეს და გახსენდება სულმნათი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის სიტყვები: „საქართველოს ისტორია კოლხეთის ისტორიით უნდა დავიწყოთ“.

ყური დავუგდოთ პოეტს:

„ქვეყნად მიტომ მოვედი,
მტერი გავაგულისო!
მე კოლხეთში ყოველთვის
საქართველოს ვგულისხმობ!“

ჭეშმარიტად, ბატონო ვაჟა!

საშა არჩაია,
რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, „ფაზისის“ აკადემიის ნამდვილი წევრი.

„სეხნია დიდი ვაჟასი
ღირსია ქების, ვაშასი...
ვაჟა ეგრისელს ვგულისხმობ,
კაცს უხინჯოს და უნისლოს,
პოეტთა შორის რომელიც
თუთარჩელობს და მურიცსობს“.
(მიხეილ კოლხი)

„პოეტთა შორის თუთარჩელობს და მურიცხობს...“

არიან ადამიანები ქვეყანად მპყრობელნი–ალექსანდრე მაკედონელი, ნაპოლეონ ბონოპარტი...

არიან ადამიანები აზრთა გამრიგენი–პლატონი, რუსთაველი...

არიან ადამიანები მუზათა მეუფენი, ზაქარია ფალიაშვილი, ლადო გუდიაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე.

სიყვარულში ვარ ჩაკირული“

კოლხი სულით, ხორცით მეგრელი, „არწივი“ დიდი მგოსანი ქართული სიტყვის მეხოტბე. სიკეთის, მეგობრობისა და სიყვარულის მთესველი. მთელ სამყაროში ვაჟა ეგრისელი-დოლბაია დაბადებული და გაზრდილი ხობის რაიონის სოფელ პირველ ხორგაში.

ვამაყობთ თქვენით ბატონო ვაჟა. ჩემი მოკრძალებული აზრით, არ დარჩენილა სფერო, რომლის წიაღშიც ვაჟა ეგრისელის მახვილ მზერას, მის „მალამო“ ფსალმუნებს არ შეუღწევია. ხოლო, რაც შეეხება მწერლობას და

პირველმა დაიპყრო სახელმწიფო ერთი, ორი, სამი... შეჩერდა? არა! კიდევ და კიდევ ილაშქრა... წინ სიცოცხლის სიყვარული მიუძღოდა...

მეორემ დაწერა „მერი“, „ლურჯა ცხენები“, „მე და ღამე“... ვერ ამოწურა მაინც სიცოცხლის ტრფიალი და ახლა მისი ლექსები ტომებში ვეღარ ეტევა.

ვაჟა ეგრისელმა, მეოცე საუკუნის მწერალმა, შექმნა ათასგვერდიანი პოეტური წიგნი, რომელშიც ორიათასამდე ლექსია დაბეჭდილი. „კოლხური ფსალმუნები“, „იქმენ ნათელი“

იხარე პოეზიის ქვეყანავ...

„ლექსია ჩემი
მცხეთაც, არმაზიც,
ლექსია ჩემი სვეტიცხოველი
და არსაკიძის ბედს არ მოველი
ჩემი ცის ჯერი–
შავი ფიქრით, აღარ მძიმდება,
პირიქით, წვიმას ველოდები
მარადისობის
უნდა გაწვიმდეს მალე,
როსმე თუ გაწვიმდება“
ამინ!

ან კიდევ

„ჩემი დღეები და იმედები
ჩემმა სიცოცხლემ ქართლის ცაზე
დროშა გაჭიდა...

და ჩემი ქვეყნის განათებულს ვხედავ
მომავალს,
ჩემი სამშობლოს ღია სარკმლიდან“

თქვენი ხორგა გელოდებათ ბატონო ვაჟა, იუბილეს გილოცავთ, იხარეთ პოეზიის ქვეყანაზე.

„დასაბამიდან ფაზისის და პონტოს ნაპირას– ბუდობს კოლხეთი, როგორც ხოხობი,
ცოტნეს ადგილის დედაა ხობი,
დადიანთა ძვალთშესალაგი–ნოჯიხევი“
„მე კოლხი ვარ და...
მეც ცოტნესავით ჩემი სამშობლოს

მის შემოქმედებაში გაბნეულ მარგალიტებს, ციმციმა მზერას ვეებერთელა ზღვების უნაზეს სატრფოდ აღიქვამს.

რამდენჯერ შევხედავ ბატონ ვაჟას ფოტოს, იმდენჯერ შექსპირი მახსენდება... ამ კაცის პირქუშ ხედვაში ჩაქსოვილია ქართული ენა, სარწმუნოება... ჩემი სოფლის მომავალ თაობას ვურჩევ, ღრმად გაეცნონ ვაჟა ეგრისელის შემოქმედებას, სამაგიდო წიგნად გაიხადონ, არ დაივიწყონ ვინ იყვნენ ჩვენი წინაპრები და ვინ ვართ ჩვენ, რომ კვლავინდებურად „იქმნას ნათელი“.

თავს ბედნიერად ვგრძნობ, რომ ვცხოვრობ იმ მიწაზე, სადაც დააბიჯებდნენ ბერმუხები ალიო მირცხულავა, ალიოშა მირცხულავა, იონა მირცხულავა, რევაზ მირცხულავა, ვალტერ ბერაია, გოგა ბერაია (გმირი) პიროვნებები, რომლებიც ვეებერთელა სამყაროს აღიქვამდნენ თავიანთი შემოქმედებით. ქვეყანა თუ წაშლის სიკვდილის ნაფეხურებს, მაშინ ყველა ქართველი მისადმი სიყვარულის კოცონზე დაიწვებიან აბედივით.

სიბრძნით აღსავსე ადამიანების ცხოვრება მთელი ერის კუთვნილებაა.

მართლაც ლამაზია ჩემი სოფელი, სადაც ვაჟა ეგრისელ-დოლბაიას შემოქმედება „თუთარჩელობს და მურიცხობს“...

ნაირა ბერაია,
„ქალდეას“ აკადემიის წევრი

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხობის მუნიციპალიტეტში შპს „საქართველოს მელიორაცია“ სამელიორაციო-ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს აქტიურად ახორციელებს.

ამ ეტაპზე სამელიორაციო სამუშაოები შავღელეს ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარეობს, სადაც ნატანი მასისგან იწმინდება 4-კილომეტრიანი არხი.

სამუშაოების საერთო ღირებულება 34 149 ლარს შეადგენს.

მიმდინარე სამუშაოები არხში წყლის შეუფერხებლად გადინებას შეუწყობს ხელს, რაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ჭარბი წყლისგან დაცვას უზრუნველყოფს.

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საკონფერენციო დარბაზში არასამთავრობო ორგანიზაცია ,,პოლონეთის სოლიდარობის ფონდის“ ორგანიზებით, ჩართულობის მექანიზმების შესახებ საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას, რომელსაც ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია, მერის მოადგილები და მერიის სამსახურის უფროსები ესწრებოდნენ, ფასილიტატორები ნანა გოგოხია და მონიკა ჩიქობავა უძღვებოდნენ.

პროექტის ,,იყავი აქტიური, იყავი ჩართული“ მიზანია წალენჯიხისა და ხობის მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი თვითმმართველობისა და მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის გაზრდა ჩართულობის მექანიზმის შესახებ, ტრენინგებისა და საინფორმაციო კამპანიის გზით. ასევე სამოქალაქო ბიუჯეტის მექანიზმის დანერგვის ხელშეწყობა წალენჯიხასა და ხობში.

პროექტის მხარდამჭერია პოლონური ორგანიზაცია „სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში“.

ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გაღმა საჯიჯაოში გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

პროექტის შესაბამისად 2-კილომეტრამდე მონაკვეთზე დაიგება ცემენტ-ბეტონის საფარი და მოეწყობა ხიდ-ბოგირი.

გზის რეაბილიტაციის პროცესს ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია და მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია გაეცნენ.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „შარა-გზამშენი პირველი“ აწარმოებს.

ხობის მუნიციპალიტეტის ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კუთხე ნოჯიხევში გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

პროექტის შესაბამისად 1.7 - კილომეტრზე დაიგება ასფალტის საფარი, მოეწყობა გაბიონი, ბეტონის არხი და რკინის ცხაურები.

პროექტს ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხობის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს.

გზის რეაბილიტაციის პროცესს ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია და მერის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა გაეცნენ.

სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ბილდინგ გრუპ 17“ აწარმოებს.

ხობის მუნიციპალიტეტში 2013 წლიდან დღემდე, 135 კილომეტრზე მეტი გზის რეაბილიტაცია განხორციელდა.

შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში, აგვისტოს ომის დროს დაღუპული კაპრალის, ზვიად დათუაშვილის სახელობის თასის გათამაშების ფინალური შეხვედრები და დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

ტურნირის გამარჯვებული შუა ხორგის ადმინისტრაციული ერთეულის გუნდი გახდა, მეორე ადგილი ახალსოფლის გუნდმა დაიკავა, ხოლო მესამე ადგილზე ჭალადიდელები გავიდნენ. გამარჯვებულ და საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს, ინდივიდუალურ ნომინაციებში საუკეთესოდ დასახელებულ ფეხბურთელებს თასები და სიგელები გადაეცათ.

ღონისძიებას, ზვიად დათუაშვილის ოჯახის წევრებთან ერთად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თედო სახოკიას სახელობის ხობის ცენტრალური ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი განახლდა. ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო, საზოგადოებრივმა ცენტრმა“ 2 090 ლარის ღირებულების 179 ერთეული წიგნი შეიძინა.

წიგნადი ფონდის განახლება ეტაპობრივად ხორციელდება და ქალაქ ხობის ცენტრალური ბიბლიოთეკის მკითხველებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ქართულ და უცხოურ ენებზე გამოცემული მრავალფეროვანი მხატვრული და დარგობრივი ლიტერატურით.

ახალი წიგნების დამუშავება მიმდინარეობს ბიბლიოთეკურ-ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის წესით და შესაბამისად ჩვენს ერთგულ მკითხველებს გარკვეული პერიოდის შემდეგ შეუძლიათ ისარგებლონ ახალი ლიტერატურით.

ქ. ხობის ცენტრალურ პარკში ,,ხობის ახალგაზრდული განვითარების პროგრამის“ გახსნა გაიმართა.

ხობის ახალგაზრდული განვითარების პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს, ხობის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 13-17 წლის ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნას, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურ ჩართულობას.

პროგრამაში მონაწილეობა ახალგაზრდებს ხელს შეუწყობს სრულად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები საკლუბო აქტივობებში მონაწილეობით, განივითარონ სოციალური კომპეტენციების ფართო სპექტრი და მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

პროგრამა თანადაფინანსებულია ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ და ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია ,,განათლების და განვითარების ცენტრი თოლისკური'' და ახალგაზრდული ორგანიზაცია ,,პირველი მაისის ახალგაზრდული ცენტრი'.

ღონისძიებას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მამუკა ქარდავა ესწრებოდნენ.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ახალი სასწავლო წლისთვის საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს. ამჟამად 17 საბავშვო ბაღის მშენებლობა ხორციელდება, ასევე დამატებით 25 საბავშვო ბაღის მშენებლობა მოხდება.

მიმდინარე პროცესს სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი გუგუჩია, მოადგილესთან და ხობის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად სოფელ პირველ ხორგაში გაეცნო. ბაღში სასწავლო პროცესი სექტემბრიდან კეთილმოწყობილ გარემოში წარიმართება. მანამდე არსებული ბაღი ავარიული იყო და ვერ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს.

გიორგი გუგუჩია სოფელ ქვალონში 300 ბავშვზე გათვლილი საჯარო სკოლის სამშენებლო პროცესსაც გაეცნო.

მანამდე კი სახელმწიფო რწმუნებული მოადგილეებთან ერთად ხობის საკრებულოს წევრებს და მერიის სამსახურების უფროსებს შეხვდა. შეხვედრებზე მუნიციპალიტეტში არსებული საჭიროებები განიხილეს, სახელმწიფო რწმუნებულმა ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის მჭიდრო თანამშრომლობაზე, მოსახლეობასთან უშუალო, ინტენსიურ კომუნიკაციაზე და არსებული პრობლემების დროულ რეაგირებაზე გაამახვილა ყურადღება.

ხობის კულტურის ცენტრის დიდ დარბაზში ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების დაცვით და კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის თანადგომით პოსტპანდემიურ პერიოდში, პირველად ჩატარდა თოჯინების სპექტაკლი „სამი მეგობარი“, რომელიც 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა.

დადგმა–მანანა შამათავა, ტექნიკური რეჟისორი–ანჟელა ქანთარია, მხატვარი–ემილ გეგენავა, მუსიკალური გაფორმება–ხათუნა სორდია, ოპერატორი–თინათინ ჯიქია, ვიდეო ოპერატორი–ბესო გაბრავა

მონაწილეობდნენ: წამყვანი –თეონა ჩარგაზია, გოჭი–მანანა შამათავა, ფისო–მარინა ჯღარკავა, ბაჭია–ნინო ქარჩავა, მგელი–რამაზ ლოლუა.

სპექტაკლს პატარა მაყურებელი ოვაციებითა და სიხარულით შეხვდა. „სამმა მეგობარმა” ვარსკვლავურად ჩაიარა.

წარმატებები ვუსურვოთ მათ.

ქ. ხობის კულტურის სახლში პროექტის ,,დემოკრატიის გაძლიერება მედია წიგნიერების ამაღლებით“ ფარგლებში შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა.

ახალგზრდებმა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „განათლების და განვითარების ცენტრი „თოლისკურის“ წარმომადგენლების ხელშეწყობით, 6 თვის განმავლობაში პროექტში ჩართულობაზე და განხორციელებულ საკითხებზე ისაუბრეს, ასევე წარმოადგინეს თემატური ნამუშევრები ნახატების სახით.

პროექტის მიზანი ქართველ ახალგაზრდებში მედია წიგნიერების უნარების გაზრდა და კრიტიკული აზროვნებაა, რათა მათ შეძლონ საკუთარ თემში დემოკრატიულ პროცესების აქტიური ხელშეწყობა. მიზნობრივი ჯგუფი დაკომპლექტებული იყო ოთხ ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ახალგაზრდებით, რომლებიც 6 თვის განმავლობაში ეცნობოდნენ პროექტით გათვალისწინებულ დოკუმენტურ ფილმებს. ფილმების ფასილიტაციას ახორციელდა ანი ბუკია და გვანცა კიკალეიშვილი.

პროექტი განხორციელდა PEOPLE IN NEED ორგანიზაციის მხარდაჭერითა და ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს TRANSITION (ტრანზიშენ) პროგრამის და USAID-ის ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში.

შეხვედრას ესწრებოდნენ დონორი ორგანზიაციის წარმომადგენლები.

ქ. ზუგდიდში, ბოტანიკური ბაღში პროექტის „იყავი აქტიური, იყავი ჩართული“ ფარგლებში სამოქალაქო ფორუმი „სამოქალაქო ბიუჯეტი სამეგრელოს რეგიონში“ გაიმართა.

ფორუმზე დამსწრე საზოგადოება გაეცნო სამოქალაქო ბიუჯეტის, როგორც მოქალაქეთა ჩართულობის ერთერთ ეფექტურ მექანიზმს, რომელიც საქართველოში ბოლო წლების მანძილზე არაერთ მუნიციპალიტეტში დაინერგა. მოუსმინეს პრეზენტაციებს, თუ როგორ ვითარდება სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამა ზუგდიდის, ოზურგეთის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების მაგალითზე.

ფორუმზე, როგორც პროექტის სამიზნე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, მიწვეული იყვნენ ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია, მერის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი დავით ჭოჭუა და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ტარიელ ალექსანდრია.

პროექტი „იყავი აქტიური, იყავი ჩართული“ პოლონეთის სოლიდარობის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება და მიზნად ისახავს ტრენინგებისა და საინფორმაციო კამპანიის გზით ჩართულობის მექანიზმების შესახებ წალენჯიხისა და ხობის მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი თვითმმართველობისა და მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის გაზრდას, ასევე - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მაგალითზე წალენჯიხასა და ხობში სამოქალაქო ბიუჯეტის მექანიზმის დანერგვის ხელშეწყობას.

საქართველოში პროგრამის განხორციელება აქტიურად 2018 წლიდან დაიწყო და ყოველწლიურად მუნიციპალიტეტში სიახლეები ინერგება.

ქ. ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში საჯარო სკოლის კურსდამთავრებულებისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა.

კონცერზე ახალგაზრდებისთვის ბენდი „ UNDER 7” და დიჯეი ალექსი უკრავდნენ.

ღონისძიება ჯანდაცვის სამინისტროს რეგულაციების დაცვით, მერიის კულტურის სამსახურის ორგანიზებით და ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით განხორციელდა.

კონცერტს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია ესწრებოდნენ.

ხობის მუნიციპალიტეტის მერია ულოცავს სკოლის კურსდამთავრებულებს სკოლის დამთავრებას და უსურვებს წარმატებებს.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში საქართველოს პროფესიული კავშირის ორგანიზებით საჯარო მოხელეებთან სემინარი ჩატარდა.

სემინარის ფასილიტატორებმა საქართველოს პროფესიული გაერთიანების ინსპექციის უფროსმა ნიკა კაკაშვილმა და იმერეთის ოფისის კოორდინატორმა ირაკლი მხეიძემ საქართველოს ორგანული კანონის ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ”, შრომის უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებზე და შრომის უსაფრთხოებაზე სახელმწიფო ზედამხედველი უწყებების უფლება-მოსილებებზე, საწარმოოში უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებულთა ზიანის ანაზღაურების საკითხებსა და საქართველოს ორგანული კანონით ,,შრომის კოდექსით განსაზღვრულ რეგულაციებზე” ისაუბრეს.

სემინარს დამსწრე საზოგადოებასთან ერთად ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია და საქართველოს პროფესიული კავშირის ხობის კოორდინატორი დიანა ჯანჯღავა ესწრებოდნენ.

სპორტი

დებიუტანტის შესანიშნავი დებიუტი

სწორედ ასეთი, მოკლე ეპითეტური ფრაზა ასახავს დიანა ლომაიას გამოსვლას საქართველოს ქალთა ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში, რომელსაც 13-22 ივნისს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქმა უმასპინძლა. მონაწილეთა შორის იყვნენ ზეტიტულოვანი ოლიმპიური, მსოფლიო, ევროპის ჩემპიონატების გამარჯვებულები და პრიზიორები, ჩვენი გამობრძმედილი დიდოსტატი ქალბატონები, სულ 9 მონაწილე.

ჯერ თავისთავად ამ საჭადრაკო ელიტაში მოხვედრა დიდი პატივია და ბევრისთვის აუხდენელ ოცნებად რჩება. აი ღირსეული წარმატებული ასპარეზობა კი ნამდვილად რჩეულთ ხვედრია. დიანა ლომაიასთვის სულ ახლახანს მინიჭებულ ფიდეს ოსტატის საპატიო წოდებას ჩემპიონატში ნაჩვენებმა ჩინებულმა შედეგმა კიდევ უფრო მეტი ელფერი შესძინა.

მის აქტივშია გამარჯვება საქართველოს ორგზის ჩემპიონ ინგა ხურცილავასთან. საპატიო ფრე ოლიმპიური ნაკრების წევრებთან ლელა ჯავახიშვილთან, ნინო ხატიაშვილთან (სადაც დიანას არ გაუმართლა და ბაციაშვილი ბეწვზე გადარჩა), სოფიო გვეტაძესთან, ალა ვახანიასთან.

რომ არა გაუთვალისწინებელი მარცხი ტურნირის გამოკვეთილ აუტსაიდერ ელენე წოწონავასთან და ხელიდან გაშვებული ფრე მერი არაბიძესთან. ვინძლო დიანას შეძლებოდა საპრიზო სამეულისთვისაც კი გამოეკრა ხელი, მაგრამ არაუშავს, როგორც იტყვიან, პირველი პური გამოცხვა და დებიუტანტმა თავი არ შეირცხვინა.

მოხვდე 5 საუკეთესო ქართველ მოჭადრაკის ნომინაციაში, რაც ავტომატურად საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრობის კანდიდატს ნიშნავს, ბევრ რამეზე მეტყველებს.

და დღეს 16 წლის უმშვენიერესი, უნიჭიერესი გოგონა ხობელთა ჭეშმარიტი სიამაყე და სიხარული ქართული ჭადრაკის მომავალი და ნამდვილი ბრენდი დიანა ლომაია კიდევ ერთხელ ახარებს მისთვის სათაყვანებელ ხობელებს, მის აღმზრდელ სკოლას, მასწავლებლებს, თაყვანისმცემელთა და გულშემატკივართა დიდ არმიას, მის დიდებულ ოჯახს, მეგობრებს.

მომავალი კი უფრო ნათელი, კაშკაშაა და დიანა კიდევ ბევრჯერ გაიბრწყინებს მსოფლიო საჭადრაკო ცის კაბადონზე.

ირაკლი გეთია, სპორტის დამსახურებული მოღვაწე.

გვწერენ

„ნუ გეშინია ბებო, ყველაფერი კარგად იქნება“–ასე მამშვიდებდა კოვიდით დაინფიცირებულ 75 წლის ქალს სენაკში, „ლაზიკამედის“ კლინიკის მედპერსონალი. ასე მგონია, ერთმანეთზე უკეთესმა, ულამაზესებმა, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებულმა პროფესიონალმა მედპერსონალმა თავიანთი სითბოთი, ტკბილი სიტყვებით, ადამიანური თვისებებით უფრო დაამარცხა ჩემი ვირუსი, ვიდრე მედიკამენტებმა.

მინდა უზომოდ დიდი მადლიერება გამოვხატო ღირსეული მედპერსონალისა და საერთოდ, კლინიკის მიმართ, რომელიც თანამედროვე სტანდარტებზეა მორგებული. აქ სასიამოვნო გარემოა, სისუფთავე, წესრიგი, საუკეთესო კვება, მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურება... მათი თავდაუზოგავი შრომა და ძალისხმევა თითოეული ადამიანის სიცოცხლის შესანარჩუნებლად იმედს მაძლევდა, რომ შევძლებდი კორონავირუსის დამარცხებას.

კეთილი სურვილებითა და ალალი გულით ვლოცავ თითოეულ მათგანს. ჯანის სიმრთელეს, ბედნიერებას, წარმატებებს ვუსურვებ მათ.

მადლიერი პაციენტი
ლუარა ძველაია,
ხობი, ნოჯიხევი.

▪▪▪▪▪▪▪▪▪▪▪▪▪▪▪▪▪▪▪▪▪▪▪

26 მაისს, კოვიდ-19-ის გადატანის შემდეგ, სამსახურში კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში ყოფნისას, გავხდი ცუდად, რა დროსაც დახმარება და ყურადღება გამოიჩინეს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ხობის კულტურის ცენტრში მომუშავე დაცვის პოლიციის თანამშრომლებმა. (დასვენების დღე იყო და სამსახურში თანამშრომლები არ იმყოფებოდნენ). სასწრაფო დახმარება გამოიძახეს, გამიწიეს პირველადი დახმარება. მარტო არ დამტოვეს, რისთვისაც მადლობას ვუხდი თითოეულ მათგანს. მათი დახმარებისა და გულისხმიერების შედეგად ექიმებმა სიცოცხლე შემინარჩუნეს, თავს კარგად ვგრძნობ.

გისურვებთ წარმატებებს და ყოველივე საუკეთესოს ცხოვრებაში. მუდამ გფარავდეთ უფალი...

მადლიერებით დალი გაბელია

სპორტული მოზაიკა

ხობის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის სასპორტო სკოლის მოსწავლეებისთვის ბოლო ოთხი თვე მეტად დატვირთული გამოდგა სპორტული ასპარეზობებით, როგორც რესპუბლიკურ, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე. პოსტპანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე გთავაზობთ მოკლე მიმოხილვას.

თებერვალი

ბ/რ ჭიდაობა–საერთაშორისო ტურნირი

უკრაინა ქ. კიევი 24-28 თებერვალი

ნუგზარ წურწუმია 55 კგ. – I ადგილი

ჯონი ხეცურიანი 67 კგ. – II ადგილი

კრივი–საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის

ქ. ბათუმი

დემური ქაჯაია 60 კგ. – I ადგილი

რევიკო ადამია 60 კგ. – III ადგილი

სამბო–საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის

ქ. თბილისი 26-28 თებერვალი

ირაკლი ლეფსაია 88 კგ. – III ადგილი

2021 წლის მარტი

ბ/რ ჭიდაობა

საქართველოს ჩემპიონატი (უმცროსი ჭაბუკები)

8-10 მარტი. გურჯაანი

1. ლოლუა ვახტანგი 44 კგ. - I ადგილი
2. ზარანდია მაცი 41 კგ. - I ადგილი
3. კილასონია ენვერი 41 კგ. – III ადგილი

საქართველოს ჩემპიონატი (23 წლამდე)

19-21 მარტი. თბილისი

1. ყორშია ნიკა 72 კგ. - III ადგილი

აპრილი

კრივი

საქართველოს ჩემპიონატი (უმცროსი ჭაბუკები) 2007-2008 წწ

14-18 აპრილი ქ.ფოთი

1. ლიპარტია გურამი - 52 კგ.- I ადგილი
2. კონჯარია მამუკა -48 კგ. – II ადგილი
3. მუნჭავა ცოტნე - 40 კგ. – III ადგილი
4. ყურაშვილი ილიკო - 42 კგ. – III ადგილი

ბ/რ ჭიდაობა

საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის

20-22 აპრილი ქ.ხაშური

ალექსანდრია მიშიკო–60 კგ. –II ადგილი

მაისი

კრივი

საქართველოს ჩემპიონატი

5-9 მაისი ქ. თბილისი

1. რევაზ ჩხეიძე–64 კგ. –III ადგილი (ახალგაზრდები).
2. ბაკური ჩიქოვანი–63 კგ. – III ადგილი (დიდები).
3. ანა ხუნჯუა–60 კგ. – I ადგილი (დიდები)

ბ/რ ჭიდაობა

ევროპის ჩემპიონატი (უმცროსი ჭაბუკები) 27-30 მაისი ბულგარეთი

1. ვახტანგ ლოლუა–44 კგ.-II ადგილი

მძლეოსნობა

სამეგრელო-ზემო სვანეთი. რეგიონალური პირველობა

22 მაისი ჯვარზენი

1. მარი გაგუა (200 მ.) - III ადგილი
2. ალექსი ჯგერენაია (ბირთვი) –III ადგილი
3. ელისაბედ პირველი(200 მ.)- II ადგილი
4. ლუკა ჯგერენაია (200 მ.)- II ადგილი
5. ლამზირა თორდია (ბირთვი)- II ადგილი
6. მაიკო აფაქიძე (200 მ.) –II ადგილი

X X X

აჭარის მძლეოსნობის ფედერაცია აჯილდოებს ელისაბედ პირველს კარლო გიორგაძის სახელობის მძლეოსნურ გარბენში მეორე ადგილის მოპოვებისთვის (მწვრთნელი ინდირა გრიგოლიანცი).

X X X

აფხაზეთის ღია პირველობაზე ლამზირა თორდიამ ბირთვის კვრაში მესამე ადგილი მოიპოვა, ასევ ლუკა ჯგერენაია სიგრძეზე ხტომაში მესამე ადგილს დაეუფლა. ისინი დიპლომითა და თასებით დაჯილდოვდნენ. (მწვრთნელი ინდირა გრიგოლიანცი).

წარმატებებს ვუსურვებთ სასპორტო სკოლის მოსწავლეებსა და მათ მწვრთნელებს.

ნაირა ბერაია.

განცხადებები

ზურაბი ბიგვავას პ/ნ 58001022148, თამარი ბიგვავას პ/ნ 58001019733, თემური ბიგვავას პ/ნ 658001031394, თორნიკე ბიგვავას პ/ნ658001030473, ლალი ბიგვავას პ/ნ 58001018570 და ნარი ბიგვავას პ/ნ 58001013682 თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ექსპროპროაციის მინიჭების თაობაზე

სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ახორციელებს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე პროექტს და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის 122 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის“ შემადგენელ ნაწილს.

პროექტი ხორციელდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KFW) და ევროსაბჭოს სამეზობლო საინვესტიციო ფონდის (NIF) დაფინანსებით.

პროექტი მოიცავს დაახლოებით 2X8 კმ სიგრძის 500 კვ გადამცემი ხაზის მშენებლობას, 500 კვ „კავკასიონის“ ხაზის შეჭრით და დაახლოებით 60 კმ (220 კვ) ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას ჯვარიდან ხორგაში, რაც გულისხმობს ახალი 220 კვ ორჯაჭვა ეგხ-ს მიერთებას ხორგის 220 კვ და ჯვარის 500 კვ ქვესადგურთან. პროექტით ასევე გათვალისწინებულია ახალი 500/200 კვ ქვესადგურის მშენებლობა ჯვარში–ქვესადგურის 500 კვ მხარის მოწყობა ამომრთველის ერთნახევარი სქემით, ორი დიაგონალით.

წინამდებარე პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი გახდა **ზურაბი ბიგვავას პ/ნ 58001022148, თამარი ბიგვავას პ/ნ 58001019733, თემური ბიგვავას პ/ნ658001031394, თორნიკე ბიგვავას პ/ნ658001030473, ლალი ბიგვავას პ/ნ 58001018570 და ნარი ბიგვავას პ/ნ** 58001013682 **(შემდგომში-„თანამესაკუთრეები“)** თანასაკუთრებაში არსებული 5884.00 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის ს/კ **45.03.24.056** (მდებარე: ხობის რაიონი, სოფელი ბია) ნაწილის 169.00კვ.მ გამოსყიდვა, ხოლო ნაწილზე (3962 კვ.მ-ზე) სერვიტუტის ხელშეკრულების გაფორმება.

ვინაიდან ზემოაღნიშნული გარემოება აფერხებდა პროექტის განხორციელებას, ხოლო მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების მოპოვების გარეშე შეუძლებელია პროექტის განხორციელება, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ წერილობით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ექსპროპრიაციის პროცედურების დაწყებისა და სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის“ ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მოთხოვნით.

წარმოდგენილი განცხადების საფუძვლიანობის შემოწმებისა და ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2021 წლის 06 აპრილის **№1-1/136** ბრძანებით ჯვარი-ხორგას შემაერთებელი ელექტროგადამცემი ხაზის პროექტი ჩაითვალა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების მქონე პროექტად და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ მიენიჭა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ **ზურაბი ბიგვავას პ/ნ 58001022148, თამარი ბიგვავას პ/ნ 58001019733, თემური ბიგვავას პ/ნ658001031394, თორნიკე ბიგვავას პ/ნ658001030473, ლალი ბიგვავას პ/ნ 58001018570 და ნარი ბიგვავას პ/ნ** 58001013682 თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე 169კვ.მ-ზე.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ განცხადება ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2021 წლის 17 მაისის №1-1/189 ბრძანების შესაბამისად

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ახორციელებს ჯვარი-ხორგას შემაერთებელი ელექტროგადამცემი ხაზის პროექტს, რომლის ფარგლებშიც ხდება ჯვარის ელექტროქვესადგურის (500/220კვ) და ხორგა-ჯვარის ელექტროქვესადგურების დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზების (500კვ და 220კვ) მშენებლობა. აღნიშნული წარმოადგენს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე პროექტს და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის 122 ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის“ შემადგენელ ნაწილს. პროექტი ხორციელდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) და ევროსაბჭოს სამეზობლო საინვესტიციო ფონდის (NIF) დაფინანსებით.

წინამდებარე პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი გახდა შპს „დრ.როდგერ სერვის მენეჯმენტის“ (შემდგომში-„მესაკუთრე“) საკუთრებაში არსებული 196 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის ს/კ 45.04.02.149 (მდებარე: მუნიციპალიტეტი ხობი, სოფელი გურიფული) გამოსყიდვა. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის დებულებებიდან გამომდინარე, მესაკუთრეს 2020 წლის 25 დეკემბრის №778 წერილით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, განსახლების გეგმით განსაზღვრული საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ. ამავე შეტყობინებით, მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ უარის შემთხვევაში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და პროექტის ფარგლებში მოქცეულ მისი საკუთრების ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად 2021 წლის 14 მაისს ჩატარდა ,,აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განმხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 25 მარტის №1-1/159 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის სხდომა. სხდომაზე განხილული იქნა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების შეზღუდვის მართლზომიერების საკითხი. კომისიის დასკვნის საფუძველზე, 2021 წლის 17 მაისს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის **№1-1/189** ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის” ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“. აღნიშნული ბრძანებით განისაზღვრა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის გარდაუვალობა და ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა”-ს მესაკუთრის შპს „დრ.როდგერ სერვის მენეჯმენტის“ საკუთრებაში არსებულ 196 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთზე ს/კ45.04.02.149 (მდებარე:ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი გურიფული).

სულთათანა

ხობელი მათემატიკოსი ადამ ჯიშკარიანი



ცნობილი მათემატიკოსი ადამ ჯიშკარიანი დაიბადა 1930 წლის 22 იანვარს, ხობის რაიონის სოფელ ახალ ხიბულაში. ახალი ხიბულის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაგრამ ავადმყოფობის გამო იძულებული გახდა სწავლა დროებით შეეწყვიტა. ა. ჯიშკარიანმა 1956 წელს დაამთავრა სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი, იმავე წელს იგი გახდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის მათემატიკური ინსტიტუტის ასპირანტურის ასპირანტი, გამოთვლითი მათემატიკის სპეციალობით. ასპირანტურაზე სასწავლებლად ის გააგზავნეს ვ. სტეკლოვის მათემატიკური ინსტიტუტის ლენინგრადის ფილიალში. იქ ის ესწრებოდა გამოჩენილი რუსი მათემატიკოსების ვ. პ. ილინის, ს. გ. მიხლინის, ლ. ვ. კანტორივიჩის, ვ. ნ. ფადეევის ლექციებს და მონაწილეობდა სამეცნიერო სემინარებზე მუშაობაში.

1959 წლიდან გარდაცვალებამდე ა. ჯიშკარიანი მუშაობდა ა. რაზმაძის მათემატიკურ ინსტიტუტში, ზედიზედ იკავებდა უმცროსი, უფროსი და წამყვანი მკვლევარის თანამდებობებს.

1982 წლიდან ხელმძღვანელობდა სამეცნიერო სემინარს გამოთვლითი მათემატიკის შესახებ. 1987 წლიდან იყო გამოთვლითი მათემატიკის სექტორის ხელმძღვანელი.

ა. ჯიშკარიანმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია 1961 წელს, ხოლო 1985 წელს მიენიჭა დოქტორის ხარისხი. ის იყო მრავალი კვლევითი ნაშრომის ავტორი.

ა. ჯიშკარიანის ინტერესების სფერო მოიცავდა ელიფსური საზღვრის მნიშვნელობის პრობლემების მიახლოებითი გადაწყვეტის საკითხებს და ინტეგრალური განტოლებების კლასებს. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ის ლექციებს უტარებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს მათემატიკის ზოგად და სპეციალურ კურსებზე, იყო მათემატიკური მიმოხილვების რეცენზენტი, მონაწილეობდა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში.

ნიჭიერი და ღრმად ერუდირებული პიროვნება, პრინციპული და ჭეშმარიტი ინტელექტის ადამიანი, იგი იყო მიუკერძოებელი და კრიტიკულად მოაზროვნე, ცხოვრების რეალურად შეფასებისას.

ა. ჯიშკარიანს ახასიათებდა ზომიერება, პასუხისმგებლობა და ყურადღება თანამემამულეთა მიმართ. იგი გამორჩეული იყო მეცნიერებისადმი ერთგულებით, შემოქმედებითი ენერგიით, შესაშური შრომისმოყვარეობით.

ა. ჯიშკარიანის ცხოვრების კურსი შეიძლება ხასიათდებოდეს როგორც ბრძოლა, დაძლევა, სწრაფვა. გამბედავი და მხიარული, ის ყოველთვის მზად იყო დახმარებოდა სხვებს პრობლემების დაძლევაში, ის ყოველთვის სიამოვნებას იღებდა სხვების წარმატებით. მისი სიმტკიცე დაეხმარა მის გარშემო მყოფებს უმძიმეს წლებში გადარჩენაში. თავად ქველმოქმედი იყო, კოლეგებისგან ღრმა სიყვარულს და პატივისცემას გრძნობდა და ამას აფასებდა, როგორც საუკეთესო ჯილდოს.

ადამ ჯიშკარიანი გარდაიცვალა 2005 წლის 24 აპრილს.

ლევან ღვინჯილიას ბლოგიდან

შეხვედრამდე...
(ნანი სალაყაიას ხსოვნა)

ჩვეულებისამებრ წამოვიწიე, რაღაც უჩვეულო სიმძიმე ვიგრძენი...

–ალბათ გავცივდი–გავიფიქრე, გვერდის შეცვლა და დაძინება მოვინდომე, მაგრამ ის სიმძიმე სიტყვაშეპარულ ჟრჟოლვად მთელ სხეულს მოედო. გარინდებულმა მივაყურადე, მივხვდი, რომ ეს სხვა რაღაც იყო, უფრო სულისშემძვრელი...

ერთ წერტილს მიჩერებულმა, შორსგაქცეულ ფიქრს გონების თვალი მივადევნე და ლოგინიდან ტყვიანაკრავივით წამოვხტი. ასეთი განცდა დედის გარდაცვალების შემდეგ არ მქონია.–წამომცდა გაფითრებული ბაგეებიდან.

გარინდებიდან ტელეფონის ხმამ გამომაფხიზლა...

ნანი სალაყაია გარდაიცვალაო...

თავზარი დამეცა...

ჩავიმუხლე და უსაშველო ტკივილი ვიგრძენი. წარმოუდგენლად მიმაჩნდა. აუტანელი იყო ჩემთვის ამის გაგონება. სიტყვებით ვერ გადმოვცემ, როდესაც ნანი არის შენთვის უძვირფასესი.

ეს რა ბედისწერაა „ცხოვრება ზოგიერთებისთვის დედაა, ზოგიერთებისთვის მკაცრი დედინაცვალიო“ უთქვამთ: შენთვის მართლაც ბოროტი დედინაცვალი გამოდგა ცხოვრება.

ჩემო ახლობელო და მეგობარო, შენთან საუბრის მოლოდინმა დამღალა, ცრემლით, სევდით, მწუხარებით იწერება ეს სტრიქონები.

მიჭირს დაჯერება, რომ ჩვენს გვერდით აღარ ხარ, ჯერ კიდევ ვერ მოვსულვარ გონს, ძნელია შენზე წარსულში საუბარი, იმის გაცნობიერება, რომ არასდროს შემოაღებ ჩემი სახლის კარს. შენი დიდრონი, ცისფერი თვალებით ასე ნათლად, რომ ავლენდი შენს სულიერ სამყაროს...

აუხსნელია დაუნდობლობა წუთისოფლისა...

ბევრი რამ გამოიარე–კარგიც და ცუდიც, ტკივილიც, სიხარულიც, სიყვარულიც, იმედგაცრუებაც, ღალატიც, ერთგულებაც, მაგრამ შეუმჩნეველი და უფერული არასოდეს არც ერთ სივრცეში არ ყოფილხარ, გქონდა უდიდესი ნიჭი სიყვარულისა. შენს ყოველ სიტყვაში, ფრაზაში, ლექსში ირეკლებოდა მადლი ჩვენი ერისა.

პირველმა ელდამ გაიარა...

ტკივილმა კი–არა! წახვედი, გაუჩინარდი, ბროწეულივით მარტოდმარტო შეაღე იმიერსოფლის კარი. წახვედი და თან გაიყოლე ბადაგოვნება ქართული სიტყვისა. ყოველი შენი სიტყვა იყო სალბუნიც და საკურთხეველთან დაჩოქილი სულის ღაღადისიც. შენმა ხასხასა ნიჭმა, ინტელექტმა, განათლებამ ბევრ თაობებს გაუკვალა გზა...

გული ფეთქავს...

სული ტირის...

ზეცა ჩუმად იცრემლება,

ვერაგმა ვირუსმა არ დაგინდო, გაგწირა, გაგთელა, ფერფლად გაქცია.

* * *

შენი საფლავის გზაზე მიმავალს, მეხსიერების ცისფერი ნისლიდან მოგონებები ამოტივტივდა. ვარდობის თვის ულამაზეს, ვარდისფერ დღეს დაიბადე, უკვე მარადიულ სამყაროს ბინადარს, დაბადების დღეს გილოცავ! შენ, შენი საყვარელი რძლის, ნაირას გვერდით ხარ, არაფერი „გაგიჭირდება“. ალბათ, დაბადების დღე და აუხდენელი „ზეციური ქორწილი“ გქონდა კიდეც...

მენანები, როგორ მენანები...

არ გემშვიდობები. აქ ხარ, ჩემს გვერდით განუყრელად, განუშორებლად, უფრო ხშირად, უფრო ხანგრძლივად, ვიდრე ოდესმე...

შეხვედრამდე!..

ნაირა ბერაია.

ჩემო საყვარელო შვილო ნანი, 16 მაისი შენი დაბადების დღეა. უშენოდ, თვალცრემლიანი მივჩერებივართ შენს სურათს. ეს პირველი დაბადების დღეა, რაც დაგვტოვე, დაგვიტოვე სევდა და მონატრება ყველას: ძმას, ძმისშვილებს, დას, დისშვილებს, მოულოდნელად მოხდა შენი გარდაცვალება ისე, რომ არ ველოდით.

სიხარულით მოელდი შენი ძმის ზურაბის შვილიშვილის გაჩენას, მაგრამ ვერ მოესწარი. დაგვტოვე ყველა დაზაფრული და თვალცრემლიანი.

შვილო ნანი, შესანიშნავი ავტორიტეტით სარგებლობდი. შენ შვილი არ გყავდა, მაგრამ ხარობდი შენი ძმისშვილებითა და დისშვილებით, შენი მოსწავლეებითა და მეგობრებით, სადაც არ უნდა გემუშავა ყოველთვის გამოირჩეოდი საქმისადმი დიდი სიყვარულით, ღრმა პროფესიონალიზმით, რის გამოც დიდი პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობდი. იყავი ყველას ლხინისა და ჭირის გამზიარებელი, დაუზარელი, ყველა გიყვარდა.

ვცოცხლობთ შენთვის, რომ არ შეეხოს შენს უკვდავ სულს დავიწყება, ჩემო კეთილო შვილო. ნათელში გამყოფოს უფალმა. არ დაგაკლებთ იმას, რაც შენს სპეტაკ სულს სჭირდება. ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა ცათა სასუფევლისკენ. შენ არასოდეს იქნები დავიწყებული, ყოველთვის მოგიგონებთ.

შევთხოვ უფალს, რომ ნათელში ამყოფოს შენი და შენი რძლის ნაირას სული, რომელმაც შენზე ერთი წლით ადრე დაგვტოვა.

შენი თვალცრემლიანი დედა ლუარა ჩოკორაია.

სულთათანა

მურმან ბუკია



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ღრმა მწუხარებით იუწყება, ყოფილი საკრებულოს წევრის, სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მურმან ბუკიას გარდაცვალებას...

ბატონი მურმანი დაიბადა 1940 წელს, ხობის რაიონის სოფ. ხეთაში. მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სხვადასხვა დროს მუშაობდა მშენებელ ინჟინრად რაიკავშირის გაერთიანებაში, სოფლის მეურნეობის სამმართველოში მშენებლობისა და მექანიზაციის განყოფილების უფროსად, ზედამხედველობის ჯგუფის უფროსად, ქონების მართვის განყოფილების უფროსად... ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ...

ბატონი მურმანი ხობის საზოგადოებას დაამახსოვრდება, როგორც აქტიური და დიდი პასუხისმგებლობის მქონე ღირსეული მოქალაქე, რომელიც გამოირჩეოდა მისი თაობის ადამიანებისთვის დამახასიათებელი შინაგანი კულტურით და წესიერებით, თავმდაბლობით, ჯანსაღი იუმორითა და კაცთმოყვარეობით...

მშობლიურ ხობზე უზომოდ შეყვარებული, ყველა ღონისძიების უშუალო მონაწილე... ბატონმა მურმანმა თავისი უშუალობითა და კომუნიკაბელურობით კოლეგებში დაგვიტოვა სიყვარული და სასიამოვნო მოგონებები...

ვწუხვართ მისი გარდაცვალების გამო, ვუთანაგრძნობთ ოჯახს... უფალმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი და მარადიული ხსოვნა...

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომლები

ზვიად ღვინჯილია

„გახსენების მადლი ხომ არის და არის, მაგრამ ქვეყნად გახსენების ნიჭიც არსებულა. ჰოდა, გახსენების ნიჭიც განსაკუთრებული ნიჭია, თურმე, ნიჭი იმდენად იმისი კი არა, ვინც იხსენებს–ეს არის უპირველესად ნიჭი და ტალანტი იმისი, ვისაც იხსენებენ“

გემშვიდობებით, ძვირფასო ადამიანო...

გახსენების მადლი კი, უფალმა მოგვცა ადამიანებს, გიხსენებთ, როგორც კაცურ კაცს... ლიდერს... კარგ მამას, ბაბუას, კარგ მეგობარს... ომახიანი ხმით, კეთილი ადამიანობით, კარგი ხელმძღვანელობით, დიდი სიყვარულითა და მეგობრობით.

და მაინც, რა ულმობელი ყოფილა სიკვდილი!... სიცოცხლეზე შეყვარებულს–სიცოცხლე წაგართვა. ომახიანი ხმა სიცოცხლეშიც კი შეგიცვალათ, არ ნებდებოდით, მაინც ჩვენს გვერდით იდექით, ჩვენ კი, ამას ვგრძნობდით და გიფრთხილდებოდით, რადგან ყველას კარგად გვახსოვდით, არაფერი გეშლებოდათ ურთიერთობაში. ხშირად იტყოდით, „არა ვარ კარგად“, მაგრამ მაინც თქვენს საყვარელ საქმეს თავს არ ანებებდით, გინდოდათ სიცოცხლე, გინდოდათ სიყვარული, გიყვარდათ ის ლამაზი გარემო, ის სკოლა, სადაც ამდენი ხანი იმოღვაწეთ თქვენს პედაგოგებთან ერთად, სადაც დიდი სიყვარული დაიმსახურეთ...

„გახსენების მადლი განსაკუთრებული მადლია, რომლითაც ბუნებამ მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი დააჯილდოვა“.

უფალმა გაცხონოთ, ბატონო ზვიად, გემშვიდობებით დიდი სიყვარულითა და ტკბილი მოგონებებით ...

ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომლები

ყოველი შეხვედრისას, თბილი მოკითხვის შემდეგ ვეტყოდი, ყოჩაღ, ზვიად, ის „ურჩევნია მამულსა“ მეთქი. თვალებში სხივი აუკიაფდებოდა, ერთადერთი შვილი ეამაყებოდა.

–ყველაფერი მეორდება, აქამდე მე ვმეგობრობდი რედაქციელებთან, ახლა კი როლები გავცვალეთო–მითხრა.

უნიჭიერესი კაცი იყო ზვიად ღვინჯილია, წიგნიერი და ნამდვილი ქართველი–უბრალოებით, განათლებით, მეტყველებით, მასპინძლობით და ფიზიკურადაც ქართველი. სიხარულის და ტკივილის გამოხატვაც თავისებურად ლამაზად იცოდა, როგორც წინაპრებს ჩვევიათ.

მისი რედაქციაში სტუმრობა დიდი ზეიმი იყო. მაშინ რედაქციაში ბატონები ვლადიმერ ქორთუა, ნოდარ შონია, ახლბედა გოგი ბუკია (ნათელი მათ ხსოვნას) და ჩვენც ახალგაზრდები ვმასპინძლობდით. ქუხდა ქართული სული, პოეზია, ციტატები რომანებიდან (სულ ზეპირად აწიკწიკებდა)... გვხიბლავდა მისი მეხსიერება...

ყველაფერი წაიღო დრომ, ულმობელმა წუთისოფელმა.

ბედნიერი წავიდა იმ ქვეყნად, დატოვა ლამაზი მოგონებები, ოჯახი, ულამაზესი შვილიშვილები და უდიდესი სიყვარული, რომელსაც დრო კიდევ უფრო გამოაჩენს...

გემშვიდობებით, კიდევ უფრო გვაკლიხარ. მჯერა, უფალი შენისთანა შვილებს განსაკუთრებულად მოესათუთება.

ნათელში იყავ, ზვიად!

მერი ლაგვილავა.

დოდო ჯორჯიკია-შეროზია

ხობის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო საზოგადოებას გამოაკლდა ნიჭიერი პედაგოგი, ადამიანური ურთიერთობებისა და თვისებების ეტალონი, გამორჩეული ოჯახის შვილი და დედაბოძი ქალბატონი, დოდო ჯორჯიკია-შეროზია.

ქალბატონ დოდოსთან თბილი და ხანგრძლივი ურთიერთობა მაკავშირებდა... ჩემს თვალწინ გაიარა მისმა ტკბილ-მწარე ცხოვრებამ. სხვა საუკეთესო თვისებებთან ერთად სხვათაგან ერთადერთი გამოარჩევდა–მის ტკივილს თავს არ მოგახვევდა. თავად გასამხნევებელი, შენ გიმსუბუქებდა მისი მწუხარებით გამოწვეულ ტკივილს...

უსიტყვოდ გრძნობდი, როგორ განიცდიდა ჯერ მშობლების, შემდეგ საფიცარი ძმების ჯონგულის და რაულის უეცარ გარდაცვალებას. ლამაზ, ზღვისფერ თვალებში ცრემლი არ შეშრობია. ახალგაზრდა მეუღლის ჯემალ შეროზიას გარდაცვალების შემდეგ შვილების სიყვარულმა, მათ წინაშე პასუხისმგებლობამ, მოსწავლეებისა და მშობლების, კოლეგების თანადგომამ გააძლიერა. შვილებით ბეჟან და ნატო შეროზიებით ხარობდა...

მიუხედავად იმისა, შეუცდომლად განაგრძობდა ცხოვრებას, წუთისოფელმა მაინც არ დაინდო, ყველასათვის საყვარელი ვაჟი, ორი შვილის მამა ბეჟან შეროზია გაეცალა ცოდვა-მადლიან წუთისოფელს.

ამ ტკივილმა გაანადგურა, ვერ გაუძლო, ვერ მოერია, მათთან ყოფნას ნატრობდა... დარდმა გადაიყოლა, საკუთარ თავში ჩაიკეტა საუკეთესო ფილოლოგი, ბოლოს სკოლის დირექტორი, საუკეთესო ორგანიზატორი, მეგობარი, დიასახლისი... დაუნდობელმა წუთისოფელმა გასწირა, მისი ცხოვრების ყოველი დღე მონატრებულ ქმარ-შვილთან შეხვედრის ოცნებით იწყებოდა.

თუმცა ცხოვრება გაგრძელდა, შვილთაშვილებსაც მოესწრო, მაგრამ მათი სითბო და სიყვარული ვერ შეირგო, ვერ გაითავისა, სიცოცხლე ვერ გაიხალისა... მიუხედავად იმისა, სიძე და ქალიშვილი თან ჰყვებოდა, მგონია, მაინც იქ, თავის ქმარ-შვილთან მიეჩქარებოდა...

მჯერა, გაივლის დრო და ძალიან ბევრს მოენატრები, ეს კი, ალბათ, შენი კარგი ქალობის სრულყოფილების მეორე ეტაპი იქნება...

ნათელში იყავ, ჩემო ახლობელო, მონატრებულო დოდო.

მშვიდობით, შეხვედრამდე.

მერი ლაგვილავა.

ხათუნა ალანია

ქ. თბილისში, პეკინის გამზირზე მომხდარმა ტრაგედიამ მთელი საქართველო შეძრა, ახალგაზრდა ქალის გარდაცვალების ამბავმა კარდაკარ ჩამოიარა. უდიდესმა ტრაგედიამ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქვალონში დაიდო სამუდამო ბინა. ხანძრის დროს ხათუნა შილიფის ასული ალანია მე-5 სართულიდან ჩამოვარდა და გარდაიცვალა.

მისმა ტრაგიკულმა დაღუპვამ 40 წლის წინანდელი, უკვე შეხორცებული ჭრილობის იარები გახსნა. თვალწინ დამიდგა შილიფ და სულიკო ალანიების ოჯახის ტრაგედია. მათი 3-4 წლის ბიჭი სახლიდან გაიპარა და რკინიგზის ლიანდაგზე აცოცებული მატარებელმა იმასხვერპლა, მისი ასაკისთვის ეს გაუგონარი ამბავი მთელი სოფლის ტრაგედია გახდა...

ცხოვრება ტკივილით, სევდით, ცრემლით გაგრძელდა და წლების შემდეგ შვილმა უხმო პატიოსან, სასახელო მშობლებს. დარჩნენ ძმები მერაბი და ვახტანგი, მათი საფიცარი და ხათუნა ალანიები.

დრომ ბევრი რამ წაიღო. თითქოს ტკივილიც გაანელა. ხათუნამ თბილისში იპოვა სამსახური და იქ დაიდო ბინა. სრულიად ახალგაზრდამ სიცოცხლე ტრაგიკულად დაასრულა..

წუთისოფლის კანონებს წინ ვერავინ აღუდგება. ბედისწერას ვერსად გაექცევი...

ვუსამძიმებ ჩემს მშობლიურ სოფელს, ოჯახს–ძმებს, სანათესაოს, ხათუნას სამეგობროს ლამაზი სიცოცხლის უდროოდ შეწყვეტის გამო.

მერაბ სალაყაია.

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ მერიის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის, ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფიელების უფროსს ლევან ღვინჯილიას მამის

ზვიად ღვინჯილიას

გარდაცვალების გამო.

მადლიერების გრძნობით ნაფიქრალი

საჯიჯაოს კულტურის სახლი თავისი შემოქმედებითი საქმიანობით, დიდი ტრადიციების მქონეა. იმთავითვე კულტურის სახლის უმთავრესი პრიორიტეტი იყო სოფლად შემოქმედ ადამიანთა წარმოჩენა. სწორედ ამ მიზნით ჩამოყალიბდა უხუცესთა ფოლკლორული ანსამბლი „თუთარჩელა“, რომელიც ოცი წელი ემსახურა ფოლკლორის განვითარებას და პოპულარიზაციას. ანსამბლი არაერთგზის რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი და გამარჯვებული გახლდათ.

ასევე შეიქმნა ხალხური ეროვნული ცეკვის ანსამბლი „ოქროს საწმისი“, რომელიც ასევე ემსახურება ხალხური ცეკვის განვითარებას. ქორეოგრაფიული ანსამბლი მრავალი რესპუბლიკური და საერთაშორისო ფესტივალების გამარჯვებულია.

შემოქმედებით საქმიანობას განაგრძობს ასევე ვოკალური ჯგუფი, დუეტი, ინდივიდუალური სიმღერის შემსრულებლები, სცენის მოყვარულთა მოსწავლე-ახალგაზრდობის გაერთიანება. კულტურის სახლში ტარდება მრავალფეროვანი კულტურული ღონისძიებები და კონცერტები.

მაგრამ ბოლო წელს, შენობის ავარიული მდგომარეობის გამო, საფრთხის შემცველი იყო კულტურის სახლში თვითმოქმედი წრეების მუშაობა და ღონისძიების ჩატარება.

კონკრეტულად ამორტიზებული იყო დარბაზის იატაკი, სცენის მარცხენა ნაწილი, საგრიმიორო და საწარეო მუშაობის ოთახები. გარეთა ინტერიერი მთლიანად იყო დაზიანებული.

აღნიშნულთან დაკავშირებით მივმართეთ ხობის მუნიციპალიტეტის მერიას, უსაფრთხოების პრევენციის მიზნით შესაბამის კომისიას ადგილზე შეესწავლა არსებული მდგომარეობა. გადაწყდა ჩატარებულიყო სარეაბილიტაციო სამუშაო, გამოცხადდა ტენდერი და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 130 ათასი ლარით დაფინანსდა.

შედეგად მთლიანად განახლდა გარეთა ინტერიერი, შეიცვალა კარები, ჩაისვა მეტალოპლასტმასის ფანჯრები, დარბაზში ჯერ ბეტონის საფარი, შემდეგ ლამინატის იატაკი დაიგო. რემონტი ჩაუტარდა წინა და გვერდითა ფოიეს, ასევე ყველა ოთახს.

საჯიჯაოს კულტურის სახლის თანამშრომელთა, შემოქმედებითი ჯგუფების, ქორეოგრაფიული წრის გოგონებისა და ბიჭების, ასევე სოფლის ახალგაზრდობის სახელით მადლობას ვუხდი, ამ ღირსშესანიშნავ და კეთილშობილური საქმისთვის, ხობის მუნიციპალიტეტის მერიას, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, კულტურის ცენტრს. საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებს, საამშენებლო კომპანია „მშენებელი 2017“ და ყველა იმ ადამიანს, ვინც კულტურის სახლის რეაბილიტაციის საქმეში მონაწილეობდა.

უდიდესი მადლიერების გრძნობით, განსაკუთრებული მადლობა ამ საშვილიშვილო საქმის მთავარ შემოქმედს, ხობის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ გოჩა ქაჯაიას. ბატონი გოჩა ყველა დროს, ბუნებით ნაბოძები სიკეთით იდგა იქ, სადაც თავის მუნიციპალიტეტს, ხალხს და საქმეს სჭირდებოდა.

და ბოლოს, ჩვენი მხრივ კვლავ ახალი შემართებით ლამაზი და მრავალფეროვანი კულტურული ღონისძიებებით განვაგრძობთ განახლებულ კულტურის სახლში სრულყოფილ საქმიანობას

ქეთევან კაკაშვილი,
საჯიჯაოს კულტურის სახლის მთავარი სპეციალისტი.

მოლოცვა

ლუკა და ლიზი!

ჩვენო მონატრებულებო, ტკბილებო, საყვარელო პატარებო, გილოცავთ დაბადების დღეებს. უკვე მეორე წელია ამ ლამაზი დღეების თანაზიარები არ ვართ. უთქვენობას ძალიან განვიცდით. იმედია, მომავალი წელი ბევრი სიხარულის, სიკეთის, ჯანმრთელობის მომტანი იქნება, რაც მთავარია, პანდემიისგან თავისუფლები ვიქნებით.

ძალიან, ძალიან გვენატრებით, გვიყვარხართ, თქვენი წარმატებებით და კარგად ყოფნით ვსულდგმულობთ. გვენატრებით, თქვენი ჩახუტება ოცნებად გვექცა.

ღვთის მადლი გფარავდეთ!

მაყვალა ბებო.

სამადლობელი

სასკოლო ცხოვრებაში საგნობრივი ოლიმპიადები დიდი გამოწვევაა მოსწავლეთათვის. ღონისძიება სამ ტურად ტარდება, მესამე ტურს დედაქალაქი მასპინძლობს.

ხობის №2 საჯარო სკოლის X-ა კლასის შვიდი მოსწავლე გახდა ფინალისტი გეოგრაფიაში.

ჩვენ, მოსწავლეთა მშობლები, უდიდეს მადლობას ვუხდით ხობის მუნიციპალიტეტის მერს გოჩა ქაჯაიას და კულტურულ საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორს ბატონ კობა კობახიძეს თანადგომისთვის–მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის.

აქვე გვინდა პატივისცემა და სიყვარული გამოვხატოთ მასწავლებლის მანანა წულეისკირის მიმართ, რომლის პროფესიონალიზმისა და მონდომების შედეგია ჩვენი შვილების ესოდენ დიდი წარმატება.

მადლიერი მშობლების სახელით

ხათუნა ჯობავა.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი (დირექტორი კობა კობახიძე).
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.